

ფედერიკო  
გარსია ლორკა

სისსლიანი ქორწილი

ტრაგედია

სამ მოქმედებად და შვიდ სურათად

## მოქალაქე პირნი

დედა  
სასიძო  
სარძლო  
სარძლოს მამა  
ლეონარდო  
ლეონარდოს სიდედრი  
ლეონარდოს ცოლი  
მოახლე  
მეზობელი  
პირველი ქალიშვილი  
მეორე ქალიშვილი  
გოგონა  
ვაჟები  
მთვარე  
სიკვდილი (მათხოვრის სახით)  
ტყისმჭრელები  
სტუმრები

## მოქალაქე პირველი

### სურათი პირველი

ოთახი შეღებილია ყვითლად. სცენაზეა დედა

სასიძო. (შემოდის) დედა!  
დედა. რა?  
სასიძო. მივდივარ.  
დედა. სად?  
სასიძო. ვენახში. (მიდის კარისაკენ).  
დედა. მოიცადე.  
სასიძო. რატომ?  
დედა. ისაუზმე, შეილო.  
სასიძო. არა. უურძენს შევჭამ. დანა მომეცით.  
დედა. რისთვის?  
სასიძო. (სიცილით) მტევნების მოსაჭრელად.  
დედა. (კრიჭაშეკრული ეძებს დანას) დანა... დანა...  
წყვეულმც იყოს ყველა დანა და უსაქმური, რომელმაც  
ის გამოიგონა...  
სასიძო. სხვა რამეზე ვილაპარაკოთ,  
დედა. და მეგობრებიც, დამბაჩებიც, სულ პატარა  
დანაც, წერაქვებიცა და ბარიც კი.

სასიძო. არ გინდათ...

დედა. ყველაფერი, რასაც შეუძლია მოჰკლას მამაკაცი. ლამაზი მამაკაცი ყველით პირში მიღის ვენახში ან თავის საკუთარ ზეთისხილებთან, ეს ყველაფერი მისია, ყოველივე ეს მან მემკვიდრეობით მიიღო...

სასიძო. (თაფჩინდრული) გაჩუმდით.

დედა და აი, ეს მამაკაცი აღარ ბრუნდება. თუ დაბრუნდა, მხოლოდ იმისთვის, რომ პალმის ტოტი და ვაფაროთ ან მარილიანი ჯამი დაეადგათ მკერდზე. სხეული რომ არ აებურცოს. არ მესმის, როგორ ატარებ დანას ჯიბით, ან მე როგორ ვინახავ ამ გველს უჯრაში?

სასიძო. კარგი, დედა!

დედა. ასე წელიც რომ ვიცხოვრო, მხოლოდ ამას ვილაპარაკებ. ჯერ მამაშენი... მას შეეხაროდი, როგორც ყველის... და მხოლოდ სამიოდ წელს გასტანა ჩვენმა ბედნიერებამ. მერე შენი ძმა. ანდა როგორ ხდება, რომ ისეთი პატარა საგანი, როგორც არის დამბაჩა ან დანა, კლავს ხარივით ღონიერ მამაკაცს. არასოდეს არ ვაეჩუმდები. დრო მიღის, ნალველი კი სულ უფრო მეტად სწვავს ჩემს თვალებს და თმის ძირებამდე მიპყრობს.

სასიძო. (მტკიცედ) გათავდა?

დედა. არა ჯერ არა. ვინ დამიბრუნებს მამაშენს ან შენს ძმას? და მერე... ციხე. ციხე? იქ ჭამენ, იქ თამბაქოს ეწევიან, იქ გიტარაზე უკრავენ! ჩემი ორი ყველი კი დაჰკნა, დაჰკნა, დადუმდა, მათი სამარე ბალახმა დაფარა... მკვლელები კი ციხეში ხარობენ, მთებს შესტკერიან...

სასიძო. რა ვქნა, მოვკლა?

დედა. არა. ამას იმიტომ გეუბნები... ან როგორ არ გითხრა, როდესაც შენც იმავე კარით გადიხარ. არ შემიძლია შენი ყურება, როდესაც დანა გიჭირავს ხელში

და არ მინდა, რომ შენ მინდორში მიდიოდე!

სასიძო. (იცივის) კარგით, ერთი!

დედა. რა კარგი იქნებოდა, ქალი ყოფილიყავი! არ გახვიდოდი სახლიდან, ვიჯდებოდით და ვქარგავდით ერთად...

სასიძო. (სიცილით ვხვევა დედას) ვენახში, რომ წაგიყვანოთ?

დედა. რა მინდა დედაბერს ვენახში, შენ ხომ ჩრდილში დამსვამ?

სასიძო. ბებერო, ბებრუცუნა, ბებრუხანავ...

დედა. მამაშენსაც მივყავდი ხოლმე. კარგი მოდგმისა ხარ. კარგი სისხლი გაქვს. ბაბუაშენმა ყველა კუთხეში თითო ბავშვი დატოვა. მე ეს მომწონს. მარცვალი უნდა მარცვალს ჰგავდეს, მამაკაცი—მამაკაცს.

სასიძო. მე, დედაჩემო?

დედა. რა—შენ?

სასიძო. ვერ ხვდებით?

დედა. (პირქუშად) ჰო!..

სასიძო. ჯავრობთ?

დედა. არა.

სასიძო. მაშ რა?

დედა. რა ვიცი. ძალიან მოულოდნელია. ვიცი რომ კარგი გოგოა. კარგია, არა? თავმდაბალია, მუყაითი პურს აცხობს, თვითონ იკერავს კაბებს... მაგრამ საკმარისია ვახსენო, თითქოს ქვა მკრესო შუბლში.

სასიძო. რა სისულელეა.

დედა. ცხადია, სისულელეა. მაგრამ მე ხომ მართო ვრჩები. შენს მეტი აღარავინ მყავს და აი, შენც მიდიხარ.

სასიძო. ჩვენთან იცხოვრებთ.

დედა. არა. ვერ მივატოვებ მამაშენსა და შენს ძმას. ყოველ დღით უნდა მივხედო; ვაითუ წავედი, მკვლე-

ლების ოჯახიდან—ფელიქსებისაგან მოკვდეს ვინმე და ჩემების გვერდით დამარხონ. ეს არ უნდა მოხდეს! არა! არ მოხდება! ფრჩხილებით ამოვთხრი მიწიდან მკვლელებს და მათ გვამებს კედელს მივახლი.

სასიძო. (მკვახედ) ისევ?

დედა. მაპატიე. (პაუზა) დიდი ხანია იცნობთ ერთ მანეთს?

სასიძო. სამი წელია. მე უკვე ვენახის ყიდვაც მოვასწარი.

დედა. სამი წელი. მგონი საქმრო ჰყავდა არა?

სასიძო. არ ვიცი. არა მგონია. ქალიშვილმა უნდა იცოდეს ვის გაჰყვეს ცოლად.

დედა. ხო. არავისთვის არ უმეხებდავს... მამაშენს შევეყურებდი და როცა მოკვდეს აი, იმ სახლის კედელს დავუწყე ყურება. უნდა იქოს ცოლი, ქმარი და სხვა არავინ.

სასიძო. თქვენც ხომ იცით, რომ ჩემი საცოლე კარგია.

დედა. მჯერა. მხოლოდ არ ვიცი, დედა როგორი ჰყავდა.

სასიძო. რაში გჭირდებათ?

დედა. (დაჟინებით უყურებს) შეილო!

სასიძო. რა?

დედა. ოღონდ ყველაფერი კარგად იყოს. ოღონდ არ შეცდე. როდის დაგნიშნო?

სასიძო. (ხალისით) იქნებ კვირას?

დედა. (საქმიანად) ძველებურ საყურეებს წავუღებ, შენ კი უყიდე...

სასიძო. თქვენ უკეთ იცით...

დედა. უყიდე რამდენიმე წყვილი გამჭვირვალე წინა, შენთვის კი ორი ხელი ტანსაცმელი... არა სამი! ერთადერთი მყავხარ!

სასიძო. ახლა წავალ. ხვალ კი ვინახულებ.

დედა. კარგი, კარგი. უნდა მაჩუქო ექვსი შვილი-შვილი... ანდა რამდენიც გინდაა. მე და მამაშენმა ვერ მოვასწართ შვილების მომრავლება.

სასიძო. პირშუო თქვენ გეკუთვნით.

დედა. კარგი. ოღონდ გოგოებიც მინდა. გარს შემოვისხამ, ვქარგავ მათთან ერთად, მოვქსოვ და გული დამიმშვიდდება.

სასიძო. დარწმუნებული ვარ შეიყვარებთ ჩემს საცოლეს.

დედა. შევიყვარებ. (უნდა აკოცოს, მაგრამ მერე იშორებს) არა, უკვე ძალიან გაიზარდე, რალა დროს შენი ალერსია. ცოლს აკოცე (პაუზა. განზე) თუ გეყოლება.

სასიძო. წავედი.

დედა. წისქვილთან კარგად დაბარე. მოუვლელია.

სასიძო. დაგბარავ.

დედა. წადი, ღვთით.

(საქმრო მიდის. დედა ზის ზურგით კარისაკენ. ზღურბლზე გამოჩნდება მეზობელი ქალი. მას შავი კაბა აცვია, თავშალი ახურავს).

დედა. შემოდი.

მეზობელი ქალი. როგორა ხარ?

დედა. როგორც მიყურებ.

მეზობელი ქალი. დუქანში ვიყავი და გამოვიარე. შორი-შორ ვცხოვრობთ!

დედა. ოცი წელია თქვენთან მთაზე არა ვყოფილვარ.

მეზობელი ქალი. მშვენივრად გამოიყურები.

დედა. ვითომ?

მეზობელი ქალი. ამქვეყნად ყველაფერი ცუდად  
თავდება. მეზობლის ვაჟს ორი ღლის წინ მანქანის  
ორივე ხელი მოაწყვიტა (ჯდება).

დედა. რაფაელს?

მეზობელი ქალი. ხო. აი ხომ ხედავ, რა არა ხდება  
ქვეყანაზე. ხშირად ვფიქრობ, რომ ჩემი და შენი ბიჭები  
იქ უკეთ არიან-მეთქი. დასახიჩრებას მშვიდი ძილი ურ.  
ჩვენიათ.

დედა. გაჩუმდი! ეგ რა ნუგეშია?

მეზობელი ქალი. ოჰ!

დედა. ოჰ!

პაუზა.

მეზობელი ქალი. (ნაღვლიანად) შენი ბიჭი რა  
იქნა?

დედა. წავიდა.

მეზობელი ქალი. როგორც იქნა იყიდა ვენახი.

დედა. ბედი ეწია.

მეზობელი ქალი. ცოლსაც ირთავს.

დედა. (უცებ გამოფრქვა და სკამით მეზობელს მიუჩოჩდა)  
ყური მიგდე.

მეზობელი ქალი. რა იყო?

დედა. იცნობ ჩემი ვაჟის საცოლეს?

მეზობელი ქალი. კარგი გოგოა!

დედა. ჰო, ოღონდ...

მეზობელი ქალი. ოღონდ წესიერად არავე იც-  
ნობს. ის და მამამისი შორს ცხოვრობენ. მათგან ათი  
მილის მანძილზე არავე სახლობს, მაგრამ კარგი გოგოა,  
შეჩვეულია სიმარტოვეს.

დედა. დედამისი?

მეზობელი ქალი. დედამისსაც ვიცნობდი. ლა-

მაზი ქალი იყო. წმიდანით ნათელი სახე ჰქონდა. მა-  
გრამ მაინც არ მომწონდა. ქმარი არ უყვარდა.

დედა. (მკვახედ) ყველაფერი იცის ამ ხალხმა!

მეზობელი ქალი. მაპატიე. არ ზინდა შენი წყენი-  
ნება, მაგრამ მართალს ვამბობ. როგორ იქცეოდა არავე  
იცის. ამაყი იყო!

დედა. ისევ!

მეზობელი ქალი. აკი თვითონ მკითხე.

დედა. მე მინდა, რომ არავე იცნობდეს—არც  
მკვდარს, არც ცოცხალს. მე მინდა, რომ ეკლის ორი  
ბუჩქივით იყვენენ, რომ ვერავე მივიდეს ახლოს, ხოლო  
ვინც მივა, დაიკაწროს.

მეზობელი ქალი. მართალია. შენი შვილი ბევ-  
რის ღირსია.

დედა. ჰო, ბევრის. იმიტომაც ვუფრთხილდები.  
ვიღაცამ მითხრა, საქმრო ჰყავდაო.

მეზობელი ქალი. მაშინ თხუთმეტი წლის იყო.  
ორიოდე წელია, რაც მაგისი ბიძაშვილი შეირთო ცო-  
ლად. ეგ ამბავი არავეს ახსოვს.

დედა. შენ რომ არ დაგავიწყდა?

მეზობელი ქალი. აკი თვითონ მკითხე!

დედა. ვისაც რა სტკივა, იმაზე ლაპარაკობს. ვინ  
იყო მაგისი საქმრო?

მეზობელი ქალი. ლეონარდო.

დედა. ვინ ლეონარდო?

მეზობელი ქალი. ლეონარდო, ფელიქსებიდან.

დედა. (დგება) ფელიქსებიდან!

მეზობელი ქალი. ლეონარდო რა შუაშია? რვა  
წლისა იყო, ის ამბავი რომ მოხდა.

დედა. მართალია. მაგრამ როდესაც მესმის „ფელ-  
იქსი“, არ შემძლია. პირი ტალახით ამევსო, ჩქარა,

ჩქარა, უნდა გადავაფურთხო, თორემ ვინმე შემომაკი-  
დება. (იფურთხება).

მეზობელი ქალი. გაჩერდი: ეგრე—რა, უფრო  
ადვილია?

დედა. შენ მაინც გესმის ჩემი...

მეზობელი ქალი. შვილის ბედნიერებაში ნუ ჩაე-  
რევი, ნურაფერს ეტყვი. უკვე ბებერი ხარ. მეც. სიჩუმე  
გვმართებს.

დედა. არ ვეტყვი.

მეზობელი ქალი. (კოცნის დედას) არა!

დედა. (მშვიდად) ცხოვრებაში რა არა ხდება!

მეზობელი ქალი. წავალ, საცაა ჩემები დაბრუნ-  
დებიან მინდვრიდან.

დედა. რა სიცხეა?!

მეზობელი ქალი. ბავშვები, მომკვლევთან რომ  
წყალი დააქვთ, ერთიანად გაშავდნენ. მშვიდობით,  
მეზობელო!

დედა. მშვიდობით! (მიდის მარცხენა კარისაკენ. შუა გზა-  
ზე ჩერდება და ნელა იწერს პირჯვარს).

### სურათი მეორე

ოთახი შეღებილია ვარდისფრად. სპილენძის ჭურჭელი. ხელაფ-  
ნური თაიგულები. შუაში დგას სუფრაგადაფარებული მაგიდა.  
დილაა.

ლეონარდოს სიდვარი ბავშვს არწევს, მეორე კუთხეში ლეონარ-  
დოს ცოლი წინდას ქსოვს.

სიდვარი. ნანა შვილო, ნანინა!

ნანას გეტყვი, ნანა...

მაღალ ცხენზე გიამბობ,  
რომ არ უნდა წყალი.

ნანა შვილო, ნანინა,

იყო შავი, შავი,

შავი იყო რატომღაც

ფოთლების ქვეშ წყალი.

რატომ შავი, ნეტავი?

ცოლი. (ჩუმად)

ვარდო, ნანა, ნანინა!

ცხენს არ უნდა წყალი.

სიდვარი. იავ-ნანა, ნანინა!

ცხენმა უცებ, იტირა.

აილო და იტირა.

სულ დაემტვრა ფეხები,

გაჰყინვია ფაფარი,

რა უელავს თვალეში—

ვერცხლია თუ ხანჯალი?

ცხენზე მიჰქრის მაღალზე

ორი ვიღაც ფარულად...

ნახე, ცელქი ზვირთები

მათმა სისხლმა შეღება.

ცოლი.

ვარდო ნანა, ნანინა!

ცხენს არ უნდა წყალი.

სიდვარი. იავ-ნანა, ნანინა!

ცხენმა უცებ იტირა,

აილო და იტირა.

ცოლი.

არ მოიწევს ნაპირზე,

აქაფებულ ბაგებით

რად ჭიხვინებს ნეტავი?

მთებს შეჰყურებს რატომღაც,

რად შეჰყურებს, ნეტავი?..

ჩემო ცხენო მაღალო,  
წყალს არა სვამ, არა!..  
მთის დარდს თოვლი ჰფარავს,  
ზეცას სისხლი ატყვია...

სიდედრი. წადი, წადი, ნუ მოხვალ,  
მოაფარე სარკმელს  
ეგ მთვლემარე ტოტი  
და სიზმარი თეთრი  
მოაფარე სარკმელს.  
წადი, წადი, ნუ მოხვალ!

ცოლი. ბიჭი უკვე იძინებს.  
სიდედრი. მიელულა პატარას...

ნანა, კარგო, ნანინა!  
ნანას გეტყვი, ნანა,

ცოლი. მაღალ ცხენზე ვიამბობ,  
არ მინდაო წყალი.

სიდედრი. წადი, წადი, ნუ მოხვალ!  
აი, იმ მთის იქით,  
აი, იმ ველს იქით  
გელოდება დობილი.

ცოლი. (უყურებს ბავშვს) ბიჭი უკვე იძინებს,  
სიდედრი. მიელულა პატარას.

ცოლი. (ჩურჩულებს) ვარდო-ნანა, ნანინა!  
ცხენს არ უნდა წყალი.

სიდედრი. (დგება. ჩურჩულებს) დაიძინე ყვავილო!  
ცხენმა უცებ იტირა,  
აილო და იტირა.  
(მიჰყავს ბავშვი).

შემოდის ლეონარდო.

ლეონარდო. ბიჭი როგორ არის?

ცოლი. სძინავს.

ლეონარდო. გუშინ კარგად არ იყო. ღამე ტი-  
როდა.

ცოლი. (ხალისიანად) დღეს კი ყვავილს წააგავს.  
შენ? სამჭედლოში იყავი?

ლეონარდო. პირდაპირ იქიდან მოვდივარ. ბოლო  
ქროს ხშირად მიხდება ცხენისათვის ნალების გამოცვლა,  
იტყობა ცვდება ქვებზე.

ცოლი. ძალიან ბევრს ხომ არ დააჭენებ?

ლეონარდო. არა. თავლიდან თითქმის არ გამომ  
ქვავს.

ცოლი. გუშინ მითხრეს, თითქოს ველზე გნახა  
ქილაცამ.

ლეონარდო. ვინ გითხრა?

ცოლი. მეზობლის ქალები კაპარს ჰკრეფდნენ და  
დაგინახეს. მე გამიკვირდა. მართლა იყავი?..

ლეონარდო. არა, რა მინდოდა იმ მზისაგან და-  
შვარ მიწაზე?

ცოლი. მეც ეგ ვუთხარი. მაგრამ ცხენი გახვით-  
ქული იყო ჭენებით.

ლეონარდო. შენ თვითონ ნახე?

ცოლი. არა, დედამ მითხრა.

ლეონარდო. ბავშვთან არის?

ცოლი. ჰო, გინდა ლიმონათი?

ლეონარდო. თუ ცივი იქნება.

ცოლი. სადილად არ მოხვედი...

ლეონარდო. ხორბლის გასაყიდად ვიყავი. დამა-  
გვიანეს.

ცოლი. (ლიმონათს ამზადებს. ცდილობს ელაპარაკოს რაც  
შეიძლება ნახად). კარგად გაყიდე?

ლეონარდო. არა უშავს.

ცოლი. ახალი კაბა მჭირდება, ბიჭს კი ბაბთიანი  
ქული.

ლეონარდო. (დგება) წავალ, დავხედავ.

ცოლი. არ გააღვიძო.

სიდედრი. (შემოდის) ცხენს ასე ვინ აკენებს? ესო  
ში გართხმულა, თვალები გადმოუქარკლავს, თითქოს  
დედამიწის კიდედან მოსულაო ჭენებით.

ლეონარდო. (უკმაყოფილოდ) მე ვაჭენე.

სიდედრი. უკაცრავად. ცხენი შენია.

ცოლი. (გაუბედავად). ხორბალი გაყიდა.

სიდედრი. რა ჩემი საქმეა? მოუკლავს სულაც  
(დგება).

პაუზა.

ცოლი. აი, ლიმონათი, ცივია?

ლეონარდო. ჰო.

ცოლი. იცი, ბიძაშვილი უნდა დანიშნონ.

ლეონარდო. როდის?

ცოლი. ხვალ. ერთი თვის მერე ქორწილიც იქნე-  
ბა. ალბათ ჩვენც დაგვპატიჟებენ.

ლეონარდო. (პირქუშად) არ ვიცი.

სიდედრი. ბიჭის დედას, მგონი, არცთუ ძალიან  
უხარია ეს ქორწინება.

ლეონარდო. ეგებ მართალიც იყოს. წინდახედული  
ქალია.

ცოლი. არ მიყვარს, როდესაც პატიოსან ქალი-  
შვილს ძრახავენ.

სიდედრი. მაგან იცის, რასაც ამბობს. (ხაზგასმით)  
დაგავიწყდა, სამი წელი მაგისი დანიშნული რომ იყო?

ლეონარდო. მე კი ის მივატოვე. (ცოლს) შენ რა,  
ტირილს აპირებ? გაჩუმდი!.. (სწრაფად აშორებს ხელებს სახი-  
დან) ბიჭთან წავიდეთ.

ხელგადახვეული გადიან. შემორბის გოგონა.

გოგონა. სინიორა!

სიდედრი. რა მოხდა?

გოგონა. საქმრო მოვიდა ღუქანში და რაცკი იყო  
საუკეთესო, ყველაფერი იყიდა.

სიდედრი. მარტო მოვიდა?

გოგონა. არა, დედასთან ერთად; ისეთი მაღალია,  
ხეიადი, (იმეორებს მის მოძრაობას). როგორი ძვირფასი  
სივთები აირჩიეს!

სიდედრი. ბევრი ფული აქვთ.

გოგონა. იყიდეს რამდენიმე წყვილი გამჭვირვალე  
წინდა! ღმერთო ჩემო, რა წინდებია! ყველა ქალის ოც-  
ნება! მიყურეთ: აქ მერცხალია ამოქარგული (აჩვენებს  
კოჭთან), აქ ხომალდი (წვივთან მიუთითებს) აქ კი ვარდი  
(მუხლს ზემოთ).

სიდედრი. ბავშვი ხარ!

გოგონა. ვარდი ღეროთი, ფოთლებით! ოჰ, ღმერ-  
თო, სულ აბრეშუმია!

სიდედრი. ახლა ეგენი ქონებას შეაერთებენ.

(შემოდის ლეონარდო და ცოლი):

გოგონა. იმისთვის მოვედი, რომ გიამბოთ. რა იყი-  
დეს.

ლეონარდო. რა ჩვენი საქმეა?

ცოლი. თავი დაანებე.

სიდედრი. ეგრე ნუ, ლეონარდო.

გოგონა. როგორც გენებოთ (ტირილით გარბის).

სიდედრი. რატომ ხარ ასეთი უხეში?

ლეონარდო. რა თქვენი საქმეა? (დგება).

სიდედრი. როგორც გენებოს.

პაუზა.

ცოლი. (ლეონარდოს) რა გემართება, რა გტანჯავს,  
მითხარი, მე უნდა ვიცოდე...

12. ფედერიკო გარსია ლორკა



ლეონარდო. გაჩუმდი.

ცოლი. არა! თვალეებში შემომხედე, მითხარი!

ლეონარდო. თავი დამანებე. (დგება).

ცოლი. მიდიხარ?

ლეონარდო. (გაღიზიანებით) აღარ გაჩუმდები?..

სიდედრი. (ქალიშვილს მტკიცედ) გაჩუმდი! (ლეონარდო გადის). ბავშვი! (გადის და მაშინვე ბრუნდება ბავშვით ხელში, ცოლი დგას გაუნძრევლად).

სიდედრი. დასერილა ჭრილობით,  
გაჰყინვია ფათარი,  
რა უელავს თვალეებში  
ვერცხლია თუ ხანჯალი?  
ცხენზე მიჰქრის მალალზე  
ორი ვიღაც ფარულად.  
ნახე, ცელქი ზვირთები  
მათმა სისხლმა შეღება.

ცოლი. (მდორედ, თითქოს ძილში ლაპარაკობს).  
ვარდო-ნანა, ნანინა!  
ცხენი წყალს დაეწათა.

სიდედრი. იავ-ნანა, ნანინა!  
ცხენმა უცბ იტირა,  
აილო და იტირა.

ცოლი. ნანა-შვილო, ნანინა!  
ნანას გეტყვი, ნანა...

სიდედრი. მალალ ცხენზე გიამბობ,  
რომ არ უნდა წყალი.

ცოლი. (სასოწარკვეთილი ხმით)  
დარჩი, კარგო, ნუ წახვალ!  
შორს, ნისლიან მხარეში,

მთის დარდს თოვლი ჰფარავს და  
ზეცას სისხლი ატყვია...

სიდედრი. (ტირის).

ბიჭი უკვე იძინებს.

ცოლი. (ტირილით უახლოვდება სიდედრს)  
დაისვენა პატარამ.

სიდედრი. დაიძინე, ყვავილო!  
ცხენს არ უნდა წყალი.

ცოლი. (მაგიდაზე დაყრდნობილი ტირის)  
იავ-ნანა, ნანინა!  
ცხენმა უცებ იტირა,  
აილო და იტირა.

### სურათი მესამე

სცენაზეა გამოქვაბულში მოთავსებული სარძლოს ბინა. ოთახის  
სიღრმეში მოსჩანს ვარდისფერი ყვავილებისგან შეკრული ჯვარი.  
ოვალური კარები მოქარგული ფარდებით და ვარდისფერი ბაფთე-  
ბით შემკული. მყარ, თეთრ კედლებზე მრგვალი მარაოებია, ლურ-  
ჯი დოქები, სარკეები.

მოახლე ქალი. (თვალთმაქცური მორჩილებით) მობრ-  
ძანდით... (შემოდინს სასიძო და დედა. დედას შავი ატლასის კაბა  
აცვია, მაქმანის ნოსასხამი აქვს მხრებზე. სასიძო შავი ხავერდის  
ტანსაცმელშია გამოწყობილი, მკერდზე მძიმე ოქროს ძეწკვი ჰკი-  
დია). არ დაბრძანდებით? ახლავ გამოვლენ. (გადის. დედა და  
შვილი სხედან ქანდაკებასავით უმოძრაოდ. ხანგრძლივი მდუმარება).

დედა. საათი თანა გაქვს?

სასიძო. დიახ. (იღებს საათს, დაჰყურებს).

დედა. დაღამებამდე უნდა დავბრუნდეთ. შორს  
სახლობენ.

სასიძო. მიწა კი აქ კარგია.

დედა. კარგია, მაგრამ ძალზე უკაცურია. ოთხი საათის სავალზე ვერც სახლს შეხვდები, ვერც ხეს.

სასიძო. გვალვიანი ადგილია.

დედა. მამაშენი ხეებს დარგავდა.

სასიძო. უწყლოდ?

დედა. ის იპოვიდა უსათუოდ. სამ წელიწადში ვენახის გაშენება მოასწრო, ათი ძირი ალუბალი დარგა (იგონებს), სამი კაკალი წისქვილთან ახლოს და კიდევ ერთი მცენარე, წითლად რომ ყვავდა—„იუპიტერის ხე“—ის გახმა.

პ ა უ ზ ა.

სასიძო. (სარძლოზე ამბობს) ალბათ, უნდა ჩაიცვას შემოდის სარძლოს მამა. მოხუცი—პრიალა ჭადარა თმით, შუბლის ქვემოდან იყურება. დედა და სასიძო უხმოდ ართმევეს მას ხელს.

მამა. დიდხანს იარეთ?

დედა. ოთხი საათი.

ს ხ დ ე ბ ი ა ნ.

მამა. შორი გზით გივლიათ.

დედა. სანაპიროთი ვერ გივლიდი. დავბერდი.

სასიძო. თავბრუ ეხვევა.

პ ა უ ზ ა.

მამა. წელს ბალახმა კარგად იხარა?

სასიძო. დიახ, კარგად.

მამა. მახსოვს, წინათ ამ მიწაზე ბალახსაც კი არ უნდოდა ამოსვლა. მიწას ურტყამდნენ განუწყვეტლივ, ცრემლებით რწყავდნენ და მხოლოდ მაშინ თუ მოიმიკიდნენ ცოტას.

დედა. სამაგიეროდ ახლა ბარაქიანია. ნუ წუწუნებ. შენთან სამათხოვროდ არ მოვსულვარ.

130

მამა. (ილიმის) შენ ჩემზე მდიდარი ხარ. ვენახი ხომ სამდეგელი სიმდიდრეა. ყოველი მტევანი ვერცხლის მანეთიანია. სამაგიეროდ ჩემი მიწა... გაფანტულია, ხომ იტყვიან? მე მიყვარს, რომ ყველაფერი ერთად იყოს, ჩემს მიწაში კი სოლივითაა შემოჭრილი სხვისი ბოსტანი. გულში ეკალივით მიზის. მთელი ქვეყნის ოქროს ფასადაც არ უნდათ რომ მომყიდონ.

სასიძო. ბევრია ასეთ დღეში.

მამა. ოცი უღელი ხარი დასჭირდებოდა შენი ვენახი რომ გადმოგვეტანა და მთის ფერდობზე გაგვეშენებინა! კარგი კი იქნებოდა!

დედა. რატომ უნდა გადმოგვეზიდა?

მამა. ჩემი ქონება ჩემსას ეკუთვნის, შენი კი—ამას. იმიტომ რომ ყველაფერი ერთად იყოს, გულმა რომ იხაროს!

სასიძო. მუშაობაც ნაკლები დაგვეჭირდებოდა.

დედა. მე რომ მოგვედები, გაყიდეთ ჩემი ვენახი და იყიდეთ აქვე, მეზობლად.

მამა. გაყიდეთ, გაყიდეთ! ყიდვას საჭირო და არა გაყიდვა. ვაჟები რომ მყავდეს, მთელ მთას შევისყიდდი—სათავემდე. მართალია, მიწა აქ მწირია, მაგრამ ხელები რისთვის მოგვცა ღმერთმა? ხალხი აქ არ დადის, ვერავინ იქურდებს, შეგიძლია მშვიდად იძინო.

პ ა უ ზ ა.

დედა. იცი, რისთვის მოვედი?

მამა. ვიცი.

დედა. მერე?

მამა. მაგათ უკვე გადაწყვიტეს.

დედა. ჩემს ვაჟს ოქროს ხელები აქვს.

მამა. ჩემს ქალსაც.

181

დედა. ჩემი ვაჟი ლამაზია. ქალებს არ იცნობს. მისი სინდისი მზეზე გაკიდებულ ზეწარზე სუფთაა.

მამა. ჩემს ქალზე აბა რომელი გითხრა. პურის საცხობად დილის სამ საათზე დგება, როდესაც კახაჯერ ვარსკვლავები კიაფობენ. უხმოა, რბილი ხასიათის კარგად ჰქარგავს, კბილებით თოკი შეუძლია გადაღობოს.

დედა. უფალმა აკურთხოს შენი სახლი.

მამა. აკურთხოს უფალმა!

შემოდის მოახლე ორი ლანგარით ხელში, ერთზე სასმისი ალაგია, მეორეზე ნამცხვარი.

დედა. (შვილს მიმართავს) როდის იქორწინებთ?

სასიძო. ხუთშაბათს.

მამა. მაგ დღეს სწორედ ჩემი ქალიშვილი 22 წლის გახდება.

დედა. 22 წელი!.. მაკდენისვე იქნებოდა ახლა ჩემი უფროსი ვაჟი. ადამიანებს რომ დანები არ მოეგონათ, კვლავინდებურად ძლიერი და ფიციბი შეყოლებოდა.

მამა. ნულარ იფიქრებ მაგაზე.

დედა. ყოველ წუთს ვფიქრობ. შენს გულს შეეკითხე.

მამა. ესე იგი ხუთშაბათს. გადავწყვიტეთ?

სასიძო. გადავწყვიტეთ.

მამა. ეკლესია შორს არის აქედან. ნეფე-პატარა ძალი, მე და შენ ეტლით წავალთ. სტუმრები კი, ზოგი ურმით, რიგი ცხენით...

დედა. ეგრე იყოს.

გაივლის მოახლე ქალი.

მამა. უთხარი, რომ შეიძლება გამოსვლა. (დედას) ალბათ მოგეწონება.

შემოდის სარძლო. თავდახრილი და ხელებდაშეკებული.

დედა. ახლოს მოდი. კმაყოფილი ხარ?

სარძლო. დიახ, სინიორა.

მამა. ნუ იღუშები. ეგ ხომ შენი დედა იქნება.

სარძლო. კმაყოფილი ვარ. ნებით მიყვები.

დედა. ცხადია. (ნიკას უწევს მალა) შემომხედე.

მამა. დედას ჰგავს.

დედა. ჰო? თვალს ვერ მოწყვეტ! გოგონა, იცით რას ნიშნავს გათხოვება?

სარძლო. (პირქუშად) ვიცი.

დედა. ქმარი, ბავშვები და ორი წყრთის სისქე

ქიდელი. ეს არის და ეს.

სასიძო. მეტი რა არის საჭირო?

დედა. არაფერი! ყველამ ასე უნდა იცხოვროს!

მამა!

სარძლო. მე შემიძლია ასე ცხოვრება.

დედა. აჰა, საჩუქრები.

სარძლო. გმადლობთ.

მამა. რატომ არ მიირთმევთ?

დედა. მე არ მინდა. (ვაჟიშვილს) შენ?

სასიძო. მე ავიღებ.

ის და სარძლო იღებენ ნამცხვარს.

მამა. (სასიძოს) ღვინო?

დედა. პირს არ აკარებს.

მამა. მით უკეთესი!

პაუზა. ყველანი დგებიან.

სასიძო. (სარძლოს) ხვალ მოვალ.

სარძლო. რომელ საათზე?

სასიძო. ხუთზე.

სარძლო. დაგელოდები.

სასიძო. როდესაც შენს გვერდით ვზივარ, ძალიან ვწვავლობ, თითქოს მახრჩობს რაღაც.

სარძლო. ქმარი რომ გახდები, გაივლის.  
 სასიძო. მეც ასე ვფიქრობ.  
 დედა. აბა, წავიდეთ. შუე აღარ იცდის (მამას) ლაფერზე შევთანხმდით, არა?  
 მამა. ყველაფერზე.  
 დედა. (მოახლეს) მშვიდობით!  
 მოახლე. ღმერთი გფარავდეთ!  
 დედა კოცნის სარძლოს. ყველანი უხმოდ მიემართებიან გასასვლელისკენ.  
 დედა. (კარებში) მშვიდობით, შვილო!  
 სარძლო ხელით ანიშნებს მშვიდობას.  
 მამა. გაგაცილებთ.  
 მიდიან.  
 ✓ მოახლე. სული ბელევა, საჩუქრები ჩქარა ვნახოთ.  
 სარძლო. (გაჯავრებული) თავი დამანებე.  
 მოახლე. გოგონა, მაჩვენე!  
 სარძლო. არა.  
 მოახლე. წინდები მაინც. ამბობენ სულ გამჭვირვალეაო. მომეცი, ვნახო!  
 სარძლო. არა, არ მოგცემ.  
 მოახლე. ღვთის გულისათვის! რა გაეწყობა... იქნებ გათხოვებაც არ გინდა?  
 სარძლო. (გააფთრებით იკბენს ხელზე) ო!  
 მოახლე. გოგო, შვილო, რა გემართება? იქნებ გენანება უზრუნველი ქალიშვილობა? ნუ დალონდები. ანდა რა არის სადარდელი? სულ არაფერი... ვნახოთ აბა, საჩუქრები... (იღებს ყუთს).  
 სარძლო. (ხელებს ჰქერს) გაუშვი!  
 მოახლე. ოჰ, შე!..  
 სარძლო. გეუბნები, ხელი გაუშვი!  
 მოახლე. ვაჟკაცის ღონე გაქვს!

სარძლო. არა ვარ განა შეჩვეული კაცურ გარჯას?  
 ო, კაცი რომ ვიყო!..  
 მოახლე. ნუ ამბობ მაგას!  
 სარძლო. გაჩუმდი-მეთქი, გეუბნები!  
 სცენაზე ბნელდება. ხანგრძლივი მდუმარება.  
 მოახლე. ღამით გესმოდა ცხენის ფეხის ხმა?  
 სარძლო. რომელ საათზე?  
 მოახლე. სამზე.  
 სარძლო. ალბათ ცხენი ასცდა რემას.  
 მოახლე. არა, ზედ მხედარი იჯდა.  
 სარძლო. რა იცი?  
 მოახლე. დავინახე. უენი ფანჯრის ქვეშ შედგა.  
 ისე შევშინდი!  
 სარძლო. ჩემი საქმრო იქნებოდა. ხანდახან მაგდროს ჩაივლის ხოლმე ჩემს ფანჯარასთან.  
 მოახლე. არა.  
 სარძლო. დაინახე?  
 მოახლე. ჰო.  
 სარძლო. ვინ იყო?  
 მოახლე. ლეონარდო.  
 სარძლო. (მძაფრად) სიცრუეა! სიცრუე! აქ რისთვის უნდა მოსულიყო?  
 მოახლე. ხომ მოვიდა!  
 სარძლო. გაჩუმდი! ენა გაგიხმეს!  
 ცხენის ფეხის ხმა.  
 მოახლე. (ფანჯარასთან) ნახე, სარკმელში გაიხედე. ის არის!  
 სარძლო. ის! ✓  
 ფარდა სწრაფად ეშვება.

## მოქმედა მორა

### სურათი პირველი

წინკარი სარძლოს სამოსახლოში. სიღრმეში დიდ კარი  
ღამეა. შემოდის სარძლო თეთრ კორსაჟში და თეთრი მაქმანის  
ქვედა კაბაში. ხელები შიშველი აქვს. ასევე აცვია მოახლესაც.

მოახლე. აქ მოვათავოთ შენი დავარცხნა.

სარძლო. იქ მეტისმეტად შეხუთული ჰაერია.

მოახლე. ამ მხარეში განთიადზედაც ძნელია სუნ-  
თქვა.

სარძლო დაბალ სკამზე ჯდება და იხედება ხელის სარკეში.

მოახლე ვარცხნის მას.

სარძლო. იქ სადაც დედაჩემი დაიბადა, ბევრი ხე  
ხარობს. იქ მიწებია ნაყოფით სავსე.

მოახლე. იმიტომაც იყო გულთა.

სარძლო. აქ კი დაჭკნა.

მოახლე. ვის რა უწერია!

სარძლო. აქ ყველა ვჭკნებით. კედლებიც კი სიც-  
ხით სუნთქავენ. ოჰ, რატომ ასე მჭიდროდ?

მოახლე. მინდა ღამაზად დაგიწნა თმები. ამ კუ-  
ლულმა უნდა შუბლი დაგიმშვენოს. (სარძლო სარკეში იხედება)  
ღამაზო ჩემო! (კოცნის)

სარძლო. (პირქუშად) გაათავე.

მოახლე. (განაგრძობს ვარცხნას) ზედნიერი ხარ. მა-  
ლე მამაკაცს მოეხვევი, აკოცებ, მისი სხეულის იგრძ-  
ნობ სიმძიმეს.

სარძლო. ჩუ-მეთქი!

მოახლე. მაგრამ უფრო უკეთესია, როცა უეცრად  
გაიღვიძებ და გრძნობ, რომ აქვე გვერდით გიწევს და  
მისი სუნთქვა შიშველ მხარეში გიღიტინებს; როგორც  
ბუმბული.

სარძლო. (მკაცრად) გაჩუმდები თუ არა?

მოახლე. ეჰ, ჩემო გოგო. იცი რა არის ქორწი-  
ლება? ეს არის—მეტი არაფერი—ქორწილი განა ნამცხ-  
ვარია, განა ღამაში თაიგულები? არა, ახალი საწოლია  
და მამაკაცი ქალის გვერდით.

სარძლო. გეყოფა.

მოახლე. როგორც მოისურვებ. ოღონდ იცოდე ეს  
ყველაფერი მეტად ტკბილია!

სარძლო. ან მეტად მწარე.

მოახლე. აი, ასე დაგიმაგრებ ფორთოხლის რტოს.  
გვირგვინმა უნდა თმა დაამშვენოს, (ახონებს რტოს).

სარძლო. (სარკეში იყურება) მოაშორე. (იხსნის რტოს  
და უხმოდ დასცქერის. თავი უღონოდ უვარდება მკერდზე).

მოახლე. რა მოგივიდა?

სარძლო. თავი დამანებე.

მოახლე. რა დროს წუხილია. (აღელვებით) რტოს  
ხელს ნუ ახლებ. (სარძლო იგლეჯს რტოს თავიდან) გოგო!  
რატომ იგლეჯ თავიდან გვირგვინს? უბედურება არ აგ-  
ცდება! ასწიე თავი! იქნებ არ გინდა გათხოვება? სთქვი,  
სანამ დროა. (დგება).

სარძლო. თავბრუ დამეხვა. გულიც მიკენესის. ვის  
არ მოსვლია!..

მოახლე. გიყვარს საქმარო?

სარძლო. მიყვარს.

მოახლე. მჯერა, მჯერა შენი.

სარძლო. მაგრამ ეს მეტად მნიშვნელოვანი სა-  
ბიჯია.

მოახლე. უნდა გადადგა ეს ნაბიჯი.

სარძლო. უკვე მივეცი სიტყვა.

მოახლე. გვირგვინს დაგადგამ.

სარძლო. (ჯდება) იჩქარე, მოვლენ საცაჲ.

მოახლე. ორი საათი უნდა იარონ.

სარძლო. რა მანძილია ეკლესიამდე?

მოახლე. ხუთი მილია სანაპიროთი თუ ვიარეთ,  
თუ შარაგზით—ორჯერ მეტი.

სარძლო დგება. მოახლე ტკბება მისი მხერით.

გაიღვიძე, პატარძალო,

ქორწინების დადგა დილა,

და იცოდე, რომ შენს გვირგვინს

დღეს მდინარე წარიტაცებს!

სარძლო. (იღიმის) კარგი, ერთი!

მოახლე. (აღტაცებით კონცის სარძლოს და იწყებს როკვას  
მის გარშემო)

გაიღვიძოს პატარძალმა,

შუბლშემკულმა მწვანე რტოთი,

დაფნის ნაზი ტოტით ხელში

სიყვარულის ნიშნად ადგეს.

გარედან ისმის კაკუნი.

სარძლო. გაუღე! პირველი სტუმრები მოვიდნენ.  
შედის სახლში.

მოახლე. (აღებს კარს. განცვიფრებული) შენა?

ლეონარდო. მე. დილა მშვიდობის.

მოახლე. პირველი მოხვედი!

ლეონარდო. ხომ მომიწვიეთ?

მოახლე. მოგიწვიეთ.

ლეონარდო. ჰოდა მოვედი.

მოახლე. ცოლი?

ლეონარდო. ცხენით წამოვედი. ისიც მალე მოვა.

მოახლე. არაინ შეგხვდა?

ლეონარდო. ყველას გამოვასწარი.

მოახლე. ცხენს დალუპავ.

ლეონარდო. ბოლოს ხომ მაინც უნდა მოკვდეს!

პ ა უ ზ ა.

მოახლე. დაჯექი. ყველას სძინავს.

ლეონარდო. სარძლო?

მოახლე. ახლა უნდა ჩავაცვა.

ლეონარდო. პატარძალია! უხარია ალბათ!

მოახლე. (სიტყვას ბანზე უგდებს) ბიჭი როგორა გყავს?

ლეონარდო. ვინ ბიჭი?

მოახლე. შენი შვილი.

ლეონარდო. (მთვარეულივით) ჰო?

მოახლე. მოიყვანენ?

ლეონარდო. არა.

პაუზა. სადღაც ძალიან შორიდან ისმის სიმღერა.

ხმები. გაიღვიძე, პატარძალო,

ქორწინების დადგა დილა!

ლეონარდო. გაიღვიძე, პატარძალო,

ქორწინების დადგა დილა.

მოახლე. სტუმრები მოდიან, მაგრამ ჯერ შორს  
არიან.

ლეონარდო. პატარძალს დიდი გვირგვინი ექნე-  
ბა? ძალიან დიდი გვირგვინი ულამაზოა, პატარა უფრო

მოუხდება. საქმრომ მოუტანა ფორთოხლის რტო მკერდზე მისაბნევად?

შემოდის სარძლო. ისევე თეთრ ქვედა კაბაში, გვირგვინით თავზე.

სარძლო. მოუტანა.

მოახლე. (გაჯავრებული) რად გამოხვედი ჩაუცმელი?

სარძლო. სულ ერთი არ არის განა? რატომ იკითხე მოიტანეს თუ არა ფორთოხლის რტო? განზრახ იკითხე?

ლეონარდო. არა. რა განზრახვა უნდა მქონდეს? განა არ მიცნობ? (უახლოვდება) მითხარი, რა ვიყავი შენთვის? მოიგონე ყველაფერი, რაც იყო. ორი ხარი და უბადრუკი ქოხი, ეს ხომ ძალზე მცირეა! ამიტომ მოხდა ყოველივე.

სარძლო. რისთვის მოხვედი?

ლეონარდო. შენს ქორწილზე მინდა ყოფნა.

სარძლო. მეც ხომ ვიყავი შენს ქორწილზე!

ლეონარდო. რომელიც საკუთარი ხელებით მოაწყვე. ჩემი მოკვლა შეიძლება, ხელის კვრა კი არა. შენ კი, ასეთმა ნაზმა, წიხლი მკარი.

სარძლო. სცრუობ.

ლეონარდო. უკეთესია დავდუმდე. ფიცხი ვარ. არ მინდა, რომ ყველა ბორცვებმა გაიგონონ ჩემი ყვირილი.

სარძლო. მე უფრო ძლიერ ვიყვირებდი.

მოახლე. გაჩუმდით! შენ არ უნდა იგონებდე წარსულს. (მოუწვევრად იყურება კარისაკენ).

სარძლო. მართალია. რატომ უნდა გელაპარაკო? მაგრამ თავს ვერ ვიკავებ, რადგანაც ჩემს დასაზვერად მოხვედი, მოხვედი ჩემი ქორწილის საყურებლად და განგებ კითხულობ ფორთოხლის რტოს. წადი აქედან. ცოლს კარებთან დაელოდე.

ლეონარდო. რატომ? არ შეიძლება ვისაუბროთ? მოახლე. (გააფთრებული) არა, არ შეიძლება!

ლეონარდო. ქორწილის გერე, დღე და ღამე ცფიქრობდი იმაზე, თუ რომელია ჩვენ შორის დამნაშავე. და ყოველთვის იბადებოდა სულ ახალი დანაშაული, რომელიც მტვრად აქცევდა წინანდელს, მაგრამ დანაშაული მაინც რჩებოდა!

სარძლო. ვინც ცხენით ბევრს დაეხეტება, მან ბევრი იცის. მას შეუძლია ადვილად მოხიბლოს უდაბნოში მცხოვრები ქალიშვილი. მაგრამ მე მაქვს ჩემი სიამაყე. აი, რატომ ვთხოვდები. მე ჩავიკეტები სამუდამოდ ჩემს ქმართან ერთად, რომელიც ამქვეყნად ყველაფერზე მეტად უნდა მიყვარდეს.

ლეონარდო. სიამაყე გიშველის განა? (უახლოვდება).

სარძლო. არ მომეკარო!

ლეონარდო. დუმილით დაწვა—ყველაზე დიდი სასჯელია, რითაც კი შეიძლება საკუთარი თავის დასჯა. განა მე მიშველა ჩემმა სიამაყემ? მიშველა იმან, რომ ვერ გხედავდი, შენ კი ათევედი უძილო ღამეებს? სრულიადაც არა. დავიწვი—აი, რას მივადწვიე! შენ გგონია, რომ დრო მკურნალია და კედლებს ყველაფრის დაფარვა შეუძლიათ, მაგრამ ეს ასე არ არის. რაც გულში შეიჭრა, მისი ამოგლეჯა შეუძლებელია!

სარძლო. (თბთოლამ აიტანა) არ შემიძლია შენი მოსმენა, შენი ხმის. თითქოს ღვინო შემასვეს და მივიძინე ვარდის სარეცელზე, და ხმა მიტაცებს, მივყავარ, ვგრძნობ, რომ სუნთქვა მიჭირს, მაგრამ მაინც მივყავები მას.

მოახლე. (ლეონარდოს სწვდება კალთაზე) წადი ახლავე!

ლეონარდო. მინდა უკანასკნელად ველაპარაკო. ნუ გეშინია.

სარძლო. მე ხომ ვიცი, რომ ეს სიგიჟეა, ვიცი,  
რომ გული გამოხმა წამებისაგან და აი, ვდგავარ, და  
ვჯსმენ მას, და ვუყურებ, როგორ ძრწის სიმწარით.

ლენონარდო. ვერ დავმზვიდდები, სანამ ყველა  
ფერს არ გეტყვი მე შევირთე ცოლი. ახლა შენც უნდა  
გათხოვდე.

მოახლე. გათხოვდება კიდევ!

ხმები. (ისმის უკვე ახლოს).

გაიღვიძე, პატარძლო,  
ქორწინების დადგა დილა!

სარძლო. გაიღვიძე, პატარძლო! (გარბის თავისი  
ოთახისაკენ).

მოახლე. აი, სტუმრებიც. (ლენონარდოს) აღარ მიე-  
ქარო.

ლენონარდო. ნუ გეშინია. (გადის მარცხენა კართ),  
თენდება.

პირველი გოგონა. (შემოდის)

გაიღვიძე, პატარძლო, —  
ქორწინების დადგა დილა!  
შენი ყველა აივანი  
ყვავილებმა დაამზვენეს.

ხმები. გაიღვიძე, პატარძლო!

მოახლე. (მხიარული ფუსფუსით)

გაიღვიძოს პატარძალმა  
შუბლშემკულმა მწვანე რტოთი —  
დაფნის ნაზი ტოტით ხელში  
სიყვარულის ნიშნად ადგეს!

მეორე გოგონა. (შემოდის)

გაიღვიძოს პატარძალმა,  
თმები სცემდეს ტერფებამდე,  
და პრიალა ფეხსაცმელზე  
ვერცხლის სალტე უელავდეს  
და გვირგვინმა გვირილების  
კულულები დაუმზვენოს.

მოახლე. მწყემსო გოგონა, მთვარე ამოდის!  
მეორე გოგონა. კარგო, გელოდები!  
დაფნათა ტყეში  
ქუდი დაგრჩენია თურმე.

პირველი ვაჟი (შემოდის. ქუდი უჭირავს მაღლა,  
თავს ზემოთ).

გაიღვიძე, პატარძლო!  
ქორწინება მოახლოვდა  
და სიმღერით უვლის ფერხულს  
მოხასხასე ველებს შორის  
და საესე აქვს კალათები  
ყვავილებით და პურებით!

ხმები. გაიღვიძე!

მეორე გოგონა. პატარძალს  
გვირგვინი ახურავს თეთრი.  
სასიძო  
პატარძალს ყვავილებს ესვრის.

მოახლე. სარძლოს ყვავილებმა  
ძილი არ აცალეს.

მესამე გოგონა. (შემოდის)

ფორთოხლის ბაღში მოელის ვაჟი  
სუფრას და კოვზებს პატარძალს აწედის.

13. ფედერიკო გაჩსია ლორკა



შემოდის სამი სტუმარი.

პირველი ვაჟი. მტრედო, გაიღვიძე!  
ნისლიან ღრუბლებს  
აისი მირეკავს ციდან.

სტუმარი. პატარძალო, თეთრო პატარძალო,

დღეს—ქალწულო,  
ხვალიდან—ქალბატონო.

პირველი გოგონა. გამობრძანდი, შავგვრემანო,  
შენი თეთრი კაბის ბოლო  
კიბეებზე დააცურე.

სტუმარი. ჩამოდი ჩვენთან, შავტუხა ქალო,  
დილა ცვარ-ნამად ტირის და ხარობს.

პირველი ვაჟი. პატარძალო, გაიღვიძე!  
ქვეყანა მთელი  
ფორთოხლის ნაზმა ყვავილებმა  
აავსეს ცამდე.

მოახლე. ხე ბროწეულის  
მოგკაზმით უნდა  
და სიყვარულის  
ნიჰნად მოგქარგოთ.

ხმები. გამოფხიზლდი, პატარძალო!

პირველი ვაჟი. ქორწინების დგება დილა.

მამა. (შემოდის) დღეს ჩვენი სასიძო წაიყვანს  
პატარძალს.

ის უკვე მოვიდა. ხარებიც აქა ჰყავს!

მესამე გოგონა. სასიძო ყვავილს  
წააგავს მზიანს,  
როდესაც მოდის,

ნაზი მიხაკები  
მის წინ თავს ჰხრიან.

მოახლე. იბედნიერე, ჩემო გოგონა!

მეორე ვაჟი. ო, გაიღვიძე, პატარძალო!

მოახლე. რა ლამაზია პატარძალი!

პირველი გოგონა. ქორწილი კარზე გვიკაკუ-  
ნებს.

მეორე გოგონა. გამოვიდეს პატარძალი.

პირველი გოგონა. გამოვიდეს უკვე დროა!

მოახლე. ხარების რეკით,

ნაზი წკრიალით

შევხვედეთ პატარძალს!

პირველი ვაჟი. გამოვიდა! პატარძალი გამო-  
ვიდა!

მოახლე. და ქორწინებაც, ხარი ძლიერი,  
მის შესახვედრად ფეხზე წამოდგა!

გამოჩნდა სარძლო. ის შავ კაბაშია გამოწყობილი. ასეთ კა-  
ბებს ცხრაასიან წლებში ატარებდნენ, ფართო პლისირიანი შლე-  
იფითა და გახამებული მაქმანებით, თავზე გვირგვინი ახურავს.  
წკრიალებენ გიტარები. გოგონები პატარძალს კოცნიან.

მესამე გოგონა. რა დაიპკურე თმებზე?

სარძლო. (იცინის) არაფერი.

მეორე გოგონა. (კაბას უსინჯავს) ასეთი ქსოვი-  
ლი არ მინახავს.

შემოდის სასიძო.

პირველი ვაჟი. სასიძოც მოვიდა!

სასიძო. გამარჯობათ!

პირველი გოგონა. (ყურს უკან ყვავილს უკეთებს).

სასიძო ყვავილს

წააგავს მზიანს.

მეორე გოგონა.

მისი თვალები

აფრქვევენ სიტკბოს!

სასიძო მიემართება სარძლოსაკენ.  
სარძლო. ეგ ფეხსაცმელი რატომ ჩაიცვი?  
სასიძო. ესენი შავებზე უფრო მხიარულია.  
ლენარდოს ცოლი. (შემოდის. სარძლოს კონის)  
გამარჯობა!

ქალები ხმამაღლა ლაპარაკობენ.

ლენარდო. (შემოდის ისეთი სახით, თითქოს მძიმე  
მოვალეობას იხდიდეს).

ამ დილით უნდა დაგახუროთ  
შენ გათხოვილი ქალის გვირგვინი  
ცოლი. რომ დაეპყუროს უსაზღვრო ველებს  
ნუგეშად შენი თმების სურნელი!

დედა. (სარძლოს მამას) ამათ აქ რა უნდათ?  
მამა. ოჯახის წევრები არიან. დღეს პატიების დღეა.

დედა. მოვითმენ, მაგრამ პატიება არ შემიძლია!

სასიძო. მიხარია, გვირგვინი რომ გახურავს!

სარძლო. წავიდეთ, ჩქარა, ეკლესიაში!

სასიძო. ძალიან ჩქარობ?

სარძლო. ჰო. მე მინდა შენი ცოლი გავხდე.  
დავრჩე შენთან მარტოდმარტო და მესმოდეს მხოლოდ  
შენი ხმა.

სასიძო. მეც ასე მინდა!

სარძლო. და ვხედავდე მხოლოდ შენს თვალებს.  
მინდა ისე მომეხვიო, რომ ველარ შევძლო შენგან მო-  
წყვეტა, მკვდარმა დედამაც რომ დამიძახოს.

სასიძო. ღონიერი ხელები მაქვს. შემიძლია ორ-  
მოცი წელი მყავდე მკლავებში მომწყვდეული.

სარძლო. (მღელვარედ სწვდება ხელებში) მუდამ!

მამა. აბა, დავიძრათ! ცხენები და ურმები მოამზა-  
დეთ. მზე ამოვიდა.

დედა. ფრთხილად იარეთ! ღმერთმა გვაშოროს  
განსაცდელი.

სიღრმეში იღება ფართო კარი. თანდათან ყველა მიდის.

მოახლე. (ტირის) თეთრო ქალწულო,  
სახლიდან გახვალ,  
ნათელ ვარსკვლავად  
ამობრწყინდები.

პირველი გოგონა. მტრედისებრ სუფთა  
შეხვედები ქორწილს.

გადიან.

მეორე გოგონა. ტაძრისთვის უკვე  
დატოვე სახლი!

მოახლე. და ქარი მიწას  
ყვავილებს აყრის!

მესამე გოგონა. ასეთი სუფთა, ასე უმანკო  
ჯერ ჩვენ დობილი არა  
გვყოლია!

მოახლე. და ჰაერივით გამჭვირვალეა,  
შენი

ნაქარგი მოსასხამი.

გადიან, გააქვთ გიტარები, დაფდაფები, დაირები. სცენაზე  
ჩიქებიან ლენარდო და მისი ცოლი.

ცოლი. წავიდეთ.

ლენარდო. სად?

ცოლი. ეკლესიაში. ოღონდ ცხენით ნუ წახვალ.  
ერთად ვიაროთ.

ლენარდო. ურმით?

ცოლი. აბა. რითი?

ლენარდო. იმ მამაკაცების რიცხვს არ ვეკუთვ-  
ნი, ურმებით რომ დადიან.

ცოლი. მეც არ ვეკუთვნი იმ ქალების რიცხვს ქორ-  
წილში რომ უქმროდ დადიან. მეტი აღარ შემიძლია!

ლ ე ო ნ ა რ დ ო . აღარც მე!

ც ო ლ ი . ასე რატომ მიყურებ? რომელ თვალში გაქვს  
ეკალი ამოსული?

ლ ე ო ნ ა რ დ ო . წავიდეთ.

ც ო ლ ი . ვერ გამივია. რა მოგდის. ვფიქრობ და არ  
მინდა ვიფიქრო. ერთი ცხადია, ჩემი ცხოვრება გატყ-  
და. მაგრამ მე ბავშვი მყავს და ახლა მეორეს ველი. წა-  
ვიდეთ. ასეთივე ბედი ჰქონდა დედაჩემსაც. მაგრამ მე  
ჩემსას არ დავთმობ.

ხ მ ე ბ ი . (სცენის იქით).

ეკლესიაში  
სახლიდან წახვალ,  
ნათელ ვარსკვლავად  
ამობრწყინდები!

ც ო ლ ი . (ტირის) ნათელ ვარსკვლავად  
ამობრწყინდები!

ასეთი გავედი მშობლების სახლიდან. მეგონა, თით-  
ქოს მთელ ქვეყანას უხაროდა ჩემი ქორწილი.

ლ ე ო ნ ა რ დ ო . (დგება) წავიდეთ.

ც ო ლ ი . მხოლოდ ერთად!

ლ ე ო ნ ა რ დ ო . კარგი. იარე!

გ ა დ ი ა ნ .

### სურათი მესამე

სარძლოს საცხოვრებელი გამოქვაბულის შესასვლელი. ღია-  
ნაცრისფერი და ცივი ლურჯი ფერები. დიდი კაქტუსები. მუქი და  
ვერცხლისფერი ფერების გამზა. პანორამა ბრტყელი ბორცვების.

პრიმიტიული ხალხური კერამიკის სტილის პეიზაჟი. მოახლე მა-  
გიდაზე სასმისებსა და ლანგრებს აწყობს.

მ ო ა ხ ლ ე . ტრიალებს ბორბალი,  
ტრიალებს ბორბალი  
და წყალი მოღვლავს,  
ქორწილი ახლოა,  
გაუშვით, ტოტებო,  
დე, მთვარემ შეამკოს  
თეთრი მოაჯირით  
თავისი სახლი.

ხმამალა

მაგიდას სუფრა გადააფარეთ!

ოცნებით

ბიჭები მღერიან,  
ბიჭები მღერიან  
და წყალი მოღვლავს.  
ახლოა ქორწილი,  
დე, ცვარმა იელვოს.  
და სიტკბოდ იქცეს  
სიმწარე ნუშების.

ხმამალა

ღვინო მოამზადეთ!

ოცნებით

შეხედე, ლამაზო,  
შეხედე, ლამაზო,  
წყალი რომ მოღვლავს.  
ახლოა ქორწილი!  
კაბა აიკრიბე,  
ქმრის ფრთას მოეფარე  
და ნულარ ეცდები  
სახლიდან გამოსვლას.

ჰგავს საქმრო შენი—მზეს  
და მკერდი უღელავს,  
ელის მშრალი ველი,  
რომ სისხლმა იჩქეფოს.  
ტრიალებს ბორბალი.  
ტრიალებს შორბალი  
და წყალი მოგორავს.  
ახლოა ქორწილი  
დე, წყალმა იელვოს!

შემოდინ სასიძოს დედა და სარძლოს მამა.

დედა. ძლივს!

მამა. პირველები ვართ?

მოახლე. არა. ახლა მოვიდნენ ლეონარდო და მისი ცოლი. ქაჯებივით მოჰქროდნენ როგორც ეტყობათ. ცოლი შიშისაგან ფეხზე ძლივსა დგას. ისე მალე მოვიდნენ, თითქოს ცხენებმა მოაქროლეს.

მამა. ხიფათს ეძებს. ცუდი სისხლი აქვს.

დედა. როგორი სისხლი უნდა ჰქონდეს? ისეთივე, როგორც მთელ ოჯახს. ჯერ კიდევ მაგის პაპის პაპამ მოკლა კაცი. მისგან მოდის ეგ უგვანო მოდგმა ვერაგი მკვლელებისა.

მამა. კარგი ერთი!

მოახლე. როგორ თუ კარგი!

დედა. ყოველი ძარღვი მტკივა. როცა მაგათ ვუყურებ, მე ვხედავ მხოლოდ მკვლელის ხელს, რომელმაც მე ყველაფერზე ძვირფასი წამართვა. აბა, შემოძხედე. გიყვარ ვგავარ განა? როდესაც გინდა იყვირო და არ შეგიძლია, შეიშლები. კივილი ჩემი, ჩემი გულიდან გასავალს ითხოვს. მე კი იგი უნდა დავთრგუნო და მოსახსნამის ქვეშ დავმალო. ახლა მკვდრებს მართმევენ და

ინც უნდა ვდუმდე. ხალხი კი დამძრახავს ამის გა-  
(იხდის მოსახსნამს).

მამა. დღეს მაგაზე ლაპარაკის დრო არ არის.  
დედა. საქმარისია დავიწყო და გაჩუმება არ შე-  
ლია. დღეს მით უმეტეს, როდესაც სახლში მარტო  
ები.

მამა. მალე ისევ გაგზორდება ოჯახი.

დედა. შეილიშვილები—აი, რა არის ჩემი ოცნება.  
სხდებიან.

მამა. მე მინდა, რომ ბევრნი იყვნენ. ამ მიწას ბევ-  
უფასო მუშახელი სჭირდება. უნდა შეებან სარევე-  
ს, დიდი ქვის ლოდებს. აქ უნდა გაჩნდეს პატრონის  
ლი, მკაცრი და უფლებისმოყვარე, რათა თესლმა ინა-  
ს, ბევრი ვაფიშვილი უნდა გაჩნდეს.

დედა. და გოგონებიც! ბიჭებს ქარი დაურბით  
გში. მაგათ ოღონდ იარაღი მიეცი ხელში. გოგონეში  
მუდამ სახლში იქნებიან.

მამა. (მზიარულად) მე მგონია, გოგოც ბევრი ეყო-  
ებათ და ბიჭიც.

დედა. ჩემს ვაჟს ის ძლიერ ეყვარება. კარგი მოდგ-  
საა. ბევრი შვილი უნდა მყოლოდა მამამისისგან.

მამა. მე ის მინდა, დრო არ დაჰკარგონ, რომ  
სახლში უცებ გაჩნდეს ორი ან სამი ვაფიშვილი.

დედა. ეგრე უცებ არ შეიძლება. დიდხანს უნდა  
ცადო. ამიტომაც საზარელია, როცა უყურებ, რო-  
გორ მოსჩქეფს მიწაზე შენი სისხლი. ნაკადი უცებ შრება,  
ჩვენ კი იგი მრავალი წლის სიცოცხლედ გვიღირს. რო-  
ცა ჩემს ვაჟთან მივირბინე, იგი შუა ქუჩაში იწვა. მე  
დავისველე ხელები სისხლში და ავილოკე. ეს ხომ ჩემი  
სისხლი იყო. შენ ვერ გაიგებ. სისხლიან მიწას ბროლის  
თასში შევინახავდი.

მამა. მოითმინე, ჩემს ქალს ფართო თეძოები  
შენი ვაჟიც ძლიერია.

დედა. ჰოდა, ვითმენ.

დეგბიან.

მამა. მოამზადე ხორბლიანი ლანგრები.

მოახლე. მზად ვახლავთ.

ლენარდოს ცოლი. (შემოდის) ბედნიერების  
გისურვებთ!

დედა. გმადლობთ.

ლენარდო. ცეკვები იქნება?

მამა. ცოტა ხანს. სტუმრებს ვერ დავაგვიანებთ.

მოახლე. მოდიან!

ჯგუფებად შემოდინ მზიარული სტუმრები, მათ უკან ახალგა  
ზრდა წყვილები. ლენარდო გადის.

სასიძო. რომელ ქორწილში ყოფილა ამდენი  
ხალხი?

სარძლო. (პირქუშად) არც ერთში.

მამა. დიდებული ქორწილია.

დედა. მთელი ნათესაობა შეიყარა.

სასიძო. ვინც სახლიდან არასოდეს არ გამოდის,  
ისინიც კი მოვიდნენ.

დედა. მამაშენმა ბევრი სიკეთე დათესა და აი, ას  
ლა შენ მოიმკი.

სასიძო. ზოგ ჩემს ნათესავს პირველად ვხე  
დავ.

დედა. ყველანი სანაპიროდან არიან.

სასიძო. (მზიარულად)—მაგათ ცხენების შეეშინდათ.

დედა. (სარძლოს)—რაზე ფიქრობ?

სარძლო. არაფერზე.

დედა. კურთხევა მიძიეა.

წკრიალებენ გიტარები.

სარძლო. ტყვიასავით.

დედა. (მტკიცედ) მაგრამ არ უნდა იყოს მძიმე. დაე,  
ტრედივით იყოს მსუბუქი.

სარძლო. ჩვენთან დარჩებით არა?

დედა. ჩემი სახლი ცარიელია.

სარძლო. იყავით ჩვენთან!

მამა. (დედას) ნახე რა ცეკვებია. ასე ზღვისპირეთ-  
ში ცეკვავენ. (შემოდის ლენარდო, ჯდება. მას მოყვება ცოლი.  
მთელ მის სხეულში დაძაბულობა იგრძნობა).

დედა. ეგენი ჩემი ქმრის ბიძაშვილები არიან. მა-  
გათ დავარდნამდე იცინ ცეკვა.

მამა. რა კარგია მათი ყურება. როგორ გამოიცვა-  
ლა ჩემი სახლი! (გადის).

სასიძო. (სარძლოს) მოგეწონა ფორთოხლის რტო?

სარძლო. (დაუინებით უყურებს) მომეწონა.

სასიძო. სანთლისაა, არასოდეს არ დაჰკნება. მინ-  
და რომ მსგავსი ყვავილები კაბაზეც გქონდეს.

სარძლო. რა საჭიროა.

ლენარდო გადის მარჯვნივ.

პირველი გოგონა. ქინძისთავეები გამოვართვით.

სარძლო (სასიძოს) ახლავე მოვალ.

ცოლი. ბედნიერი იქნები ჩემს დასთან!

სასიძო. დარწმუნებული ვარ.

ცოლი. მეგობრულად იცხოვრეთ, აქედან ნურსად  
წახვალთ. ნეტა ასეთი ჯურღმული მომცა!

სასიძო. რატომ აქ არ ყიდულობთ მიწას? მთაზე

ნაკვეთს იაფად იშოვით. ბავშვებისთვისაც უკეთესია.

ცოლი. ფული არა გვაქვს. თანაც მაინც შორია!

სასიძო. შენი ქმარი კარგი მუშაა.

ცოლი. ჰო, მაგრამ დაუღებარი ხასიათი აქვს. ვერც  
ერთ საქმეს ვერ უღებს ბოლოს. მოუსვენარია.

მოახლე. რატომ არ მიირთმევთ? (ლეონარდის ცხელი  
რომიან ნამცხვარს გაგიხვევ. დედაშენს წაუღე, ძალიან  
უყვარს.

სასიძო. ბევრი შეუხვებე.

ცოლი. არა, ცოტაც საკმარისია.

სასიძო. დღეს ხომ ისეთი დღეა!..

ცოლი. (მოახლეს) სად არის ლეონარდო?

მოახლე. არ მინახავს.

სასიძო. სტუმრებთან იქნება.

ცოლი. წავალ მოვძებნი. (მიდის).

მოახლე. რა ლამაზი ცეკვაა!

სასიძო. უნ რატომ არ ცეკვავ?

მოახლე. აბა, მე ვინ გამიწვევს?

სიღრმეში ორი გოგონა გაივლის. მთელი სცენის მანძილზე  
სიღრმეში დროდადრო ჩნდებიან სტუმრები.

სასიძო. (მხიარულად) არაფერიც არ გაეგებათ.  
შენისთანა ბებრუხუნები ახალგაზრდებზე უკეთ ცეკვავენ.

მოახლე. რატომ მეპირფერები, ჩემო ბიჭო? რა  
კაცები გყავთ გვარში!.. ერთმანეთზე უკეთესები. პატა-  
რაობისას პაპაშენის ქორწილში ვიყავი. ნამდვილი გო-  
ლიათი იყო. მთასავით კაცი.

სასიძო. მე უფრო დაბალი ვარ.

მოახლე. თვალები კი მასავით გიპრიალეხს...  
სარძლო სად არის?

სასიძო. თმას ისწორებს.

მოახლე. ჰო! მისმინე! თქვენ ხომ არ დაიძინებთ,  
ამიტომ შაშხი და ორი ჭიქა ღვინო მოვამზადე. კარადა-  
ში იქნება, ქვემოთ, თუ დაგჭირდებათ.

სასიძო. (იღიმის) ღამით არა ვჭამ.

მოახლე. (ვშმაკურად) ეგებ სარძლოს მოუნდეს!  
(გადის).

პირველი ვაჟი. ჩვენთან ერთად დალიე.

სასიძო. პატარძალს ველოდები.

მეორე ვაჟი. დილამდე მოითმინე.

პირველი ვაჟი. ყველაზე საამო დროა.

მეორე ვაჟი. ერთი წუთით.

სასიძო. წავიდეთ.

გადიან. ისმის ხმები. შემოდის სარძლო. მის შესახვედრად ორი  
გოგონა გამოიბის.

პირველი გოგონა. ვის მიეცი პირველი ქინძის-  
თავი, მე თუ ამას?

სარძლო. აღარ მახსოვს.

პირველი გოგონა. მე აქ მომეცი.

მეორე გოგონა. მე კი საკურთხეველთან.

სარძლო. (დღლავს. იგრძნობა, რომ თავს ებრძვის) არა-  
ფერი არ მახსოვს.

პირველი გოგონა. მე მინდოდა, რომ შენ...

სარძლო. (აწყვეტინებს) მოითმინეთ. ბევრი რამ უნ-  
და მოგიფიქრო.

მეორე გოგონა. გვაპატიე!

სიღრმეში გაივლის ლეონარდო.

სარძლო. (დაინახა იგი) ძალიან ვღელავ...

პირველი გოგონა. ჩვენ ხომ ჯერ არაფერი  
გაგვიგება!

სარძლო. როდესაც დრო მოვა, გაიგებთ. ეს ნა-  
ბიჯი მეტად მძიმეა.

პირველი გოგონა. ნანობ?

სარძლო. არა. მაპატიეთ!

მეორე გოგონა. აბა, რას ამბობ! მაგრამ ხომ  
იცი, მალე თუ გინდა გათხოვდე, პატარძალს ორი ქინ-  
ძისთავი უნდა გამოართვა და არა ერთი.

სარძლო. ჰო, ორი.

პირველი გოგონა. ესე იგი ერთი ჩვენგანი უფრო ადრე გათხოვდება.

სარძლო. ძალიან გინდათ გათხოვება?

მეორე გოგონა. (მორცხვად) დიახ.

სარძლო. რატომ?

პირველი გოგონა. არ ვიცი... ისე... (ეხვევა დობილს).

გარბიან. სარძლოს უკნიდან უახლოვდება სასიძო და ფრთხილად მოხვევს ხელებს.

სარძლო. (ძლიერ შეკრთა) არ მომეკარო!

სასიძო. შეგაშინე?

სარძლო. ოჰ! შენა ხარ?

სასიძო. აბა, ვინ იქნება? (პაუზა) მამაშენი ან მე.

სარძლო. მართალია.

სასიძო. მამაშენი უფრო ნაზად მოგეხვეოდა.

სარძლო. (პირქუშად) რა თქმა უნდა.

სასიძო. ის ხომ ბებერია. (ღონიერად და ცოტა უხეშად ეხვევა).

სარძლო. (ცივად) გამიშვი!

სასიძო. რატომ? (უშვებს ხელს).

სარძლო. სირცხვილია. დაგვინახავენ.

სიღრმეში გადის მოახლე. ცდილობს ახალგაზრდებს არ შეახედოს.

სასიძო. ხომ უკვე ვიქორწინეთ.

სარძლო. ჰო... მაგრამ ახლა გამიშვი... მერე.

სასიძო. რა მოგივიდა? რალაც გაწუხებს.

სარძლო. მე? არა. ნუ მომშორდები.

შემოდის ლეონარდოს ცოლი.

ცოლი. არ მინდა ხელი შეგიშალოთ, მაგრამ...

სასიძო. მოხდა რამე?

ცოლი. ჩემს ქმარს არ გაუვლია?

სასიძო. არა.

ცოლი. ვერსად ვერა ვნახე და თავლაშიც ცხენი არის.

სასიძო. გაქუსლა სადღაც.

ლეონარდოს ცოლი შეშფოთებული გადის. სახლიდან მოახლე მოდის.

მოახლე. რამდენი მოლოცვა მიიღეთ და მაინც რა ხართ კმაყოფილი?

სასიძო. როდის გათავდება ეს ყველაფერი. პაპარძალს აღარ შეუძლია.

მოახლე. რა იყო, გოგო?

სარძლო. თავი მისკდება.

მოახლე. ის ვინც ამ მთებში დაიბადა, უნდა კლდე-ფიქვით უტეხი იყოს. (სასიძოს) ახლა შენ უნდა მოარჩინო, სვე შენია! (გარბის).

სასიძო. (ეხვევა) წამოდი, ცეკვებს ვუყუროთ. (მოცნის).

სარძლო. (მწუხარედ) არა. წავალ, წამოვწევი.

სასიძო. მეც შენთან ერთად.

სარძლო. არა, არა! ყველას თანდასწრებით? რას იტყვის ხალხი. ცოტა დამისვენე.

სასიძო. როგორც გინდა. ოღონდ იცოდე, ღამით ნუ იქნები ეგეთი.

სარძლო. (კარებში) ღამე უკეთ ვიქნები.

სასიძო. მეც სწორედ ეგ მინდა.

შემოდის დედა.

დედა. შეილო!

სასიძო. სად ბრძანდებოდით?

დედა. შიგ უუაგულ ორომტრიალში. კმაყოფილი ხარ?

სასიძო. ძალიან.

დედა. შენი ცოლი სად არის?

სასიძო. დასასვენებლად გავიდა. დღეს პატარა  
ლისთვის მძიმე დღეა.

დედა. მძიმე დღე? საუკეთესო უნდა იყოს მის ცხოვ  
რებაში. ჩემი ქორწილის დღეს ასე შეგონა შემკვიდრე  
ბა მივიღე დიდი. (შემოდის მოახლე და მიემართება სარძო  
ოთახისაკენ). ასეთ დღეს პირველ ბელტს აბრუნებენ,  
ასეთ დღეს ახალ ხეებსა რგავენ.

სასიძო. ხომ არ მიდიხართ?

დედა. ჰო! უკვე სახლში უნდა ვიყო.

სასიძო. მარტო?

დედა. რატომ მარტო. სავსე ვარ ათასი ზრუნვით,  
ათასი ფიქრით, ადამიანებისა და მომავალი ბრძოლის  
შესახებ.

სასიძო. მაგრამ ბრძოლა უკვე დამთავრდა.

შემორბის მოახლე და სცენის სიდრმეში იკარგება.

დედა. ადამიანი ვიდრე ცოცხლობს, მანამდე  
იბრძვის.

სასიძო. ყოველივე მჯერა თქვენი.

დედა. შეეცადე ცოლთან იყო ალერსიანი და თუ  
შეატყვე ქედმაღლობა ან სიჯიუტე, მიუალერსე ისე,  
რომ ცოტა ეტკინოს კიდეც; მკლავები შემოაჭდე მარ  
წუხებივით და იქნებ კიდეც უკბინო, სამაგიეროდ მერე  
უფრო ნაზად აკოცე, ასე არც ეწყინება, მაგრამ იგრძ  
ნოს, რომ შენ კაცი ხარ, მისი პატრონი და მბრძანე  
ბელი, რომ ყველაფერში შენი მოტყინილი უნდა იყოს,  
ეს მამაშენისგან გავიგე. რახან ის აღარა გვყავს, ისე  
მე უნდა დაგარიგო.

სასიძო. ყველაფერს შევასრულებ, რასაც მიბრძა  
ნებთ.

მამა. (შემოდის) ჩემი ქალიშვილი რა იქნა?

სასიძო. სახლშია.

მამა შედის სახლში.

პირველი გოგონა. ახალგაზრდები მოვიდნენ,  
ფერხული ჩავაბათ.

პირველი ვაჟი (სასიძოს) შენ უთავებ ფერხულს.

მამა. (სახლიდან გამოდის) იქ არ არის.

სასიძო. არ არის?

მამა. მალლა იქნება.

სასიძო. წავალ, ვნახავ. (შედის სახლში).

ისმის ხმაური, გიტარების წკრიალი.

პირველი გოგონა. დაიწყეს! (გარბის).

სასიძო. (გამოდის სახლიდან) არ არის!

დედა. (შეშფოთებული) არ არის?

მამა. სად უნდა წასულიყო?

მოახლე. (შემოდის) გოგო სად არის?

დედა. (პირქუშად) ჩვენ არ ვიცი.

სასიძო მიდის. შემოდის სამი სტუმარი.

მამა. იქნებ ცეკვავს.

მოახლე. არა, იქ არ არის!

მამა. (აფთო) ბევრი არიან. კარგად ნახე!

მოახლე. გითხარი, ვნახე მეთქი!

მამა. (სასოწარკვეთით) მაშ რა იქნა?

სასიძო. (შემოდის) არსად არ არის! არსად!

დედა. ეს რას ნიშნავს? სად არის შენი ქალი?

შემოდის ლეონარდოს ცოლი.

ცოლი. გაიქცნენ! გაიქცნენ! ისა და ლეონარდო!  
ცხენით! ერთმანეთს ჩახვივნენ და ქარივით გაქრნენ!

მამა. არა! ჩემი ქალი? არა!



დედა. ჰო! შენი ქალი! ბოროტი თესლის ავი ნა-  
ყოფი... და ისიც. ისიც! მაგრამ ის ხომ უკვე ჩემი ვა-  
ჟის ცოლია!

სასიძო. (შემოდის) ჩქარა, მდევარი! ვისა ჰყავს  
ცხენი?

დედა. ვისა ჰყავს ცხენი? ჩქარა, ვისა ჰყავს ცხე-  
ნი?.. ყველაფერს მოგცემთ საფასურად, მოგცემთ თვა-  
ლებს, მოგცემთ ენას!

ხმა. აჰა, ცხენი!

დედა. (ვაჟს) აბა! დაეწიე! (სასიძო და ორი ვაჟი გადიან).  
არა, დარჩი. მაგათ არაფრად უღირთ შენი მოკვლა...  
ანდა არა, წადი! მეც თან მოგყვები!

მამა. არა, ის არ იქნებოდა, ჭაში ხომ არ დაიხრ-  
ჩო თავი.

დედა. წყალში თავს იხრჩობენ პატროსანი, სუფთა  
ქალები, ეგ კი არა. მაგრამ ეგ ხომ უკვე ჩემი ვაჟის  
ცოლია...ორი ბანაკია აქ ახლა! ორი ბანაკი! ჩემი და შენი!  
(სტუმრები შემოდიან). წადით აქედან! ფერხთავან მტვერი  
დაიბერტყეთ! წავიდეთ ჩემს შვილს მივებმართო!  
(სტუმრები ორად გაიყოფიან). აი, აქ არიან მხოლოდ ჩემე-  
ბი, ის ვინც მოვიდა სანაპიროდან და ისინიც, რომლე-  
ბიც მთიდან ჩამოვიდნენ. ახლავ გავსწიოთ! წავლევოთ  
გზები! ყველა შარას მოვედოთ! ისევ დადვა ჟამი სისხ-  
ლისა! ორი ბანაკია ახლა, აქ შენ შენიანებით, მე ჩემი-  
ანებით! მდევარი ჩქარა! მდევარი!

ფ ა რ დ ა .

## მოქმედება მესამე

### სურათი პირველი

ტყე. ღამეა. ხეთა დიდი სველი ტოტები. ბნელა. ვიოლინოთა  
დუფტი. შემოდის სამი ტყისმჭრელი.

პირველი ტყისმჭრელი. იპოვეს?

მეორე ტყისმჭრელი. ვერა, მაგრამ ყველგან  
ეძებენ.

მესამე ტყისმჭრელი. იპოვნიან.

მეორე ტყისმჭრელი. ჩუ!

მესამე ტყისმჭრელი. რა?

მეორე ტყისმჭრელი. ყოველი მხრიდან მო-  
დიან თითქოს.

პირველი ტყისმჭრელი. აი, მთვარე ამოვა  
და გამოჩნდებიან.

მეორე ტყისმჭრელი. ხელს ნუ ახლებენ!

პირველი ტყისმჭრელი. ქვეყანა დიდია. აღ-  
გილი ყველას ეყოფა.

მესამე ტყისმჭრელი. მაინც დახოცავენ.

მეორე ტყისმჭრელი. გულს უნდა დაუჯერო.  
სწორად მოიქცნენ, რომ გაიპარნენ.

პირველი ტყისმჭრელი. ერთმანეთს ატყუ-  
ებდნენ, სისხლმა კი აჯობა მაინც.

მესამე ტყისმჭრელი. სისხლი თავისას იხამს,  
პირველი ტყისმჭრელი. სისხლის ძახილს უს-  
და მისდით.

მეორე ტყისმჭრელი. მაგრამ თუ სისხლმა  
დღის სინათლე დაინახა, მას მიწა დალევს.

პირველი ტყისმჭრელი. მერე რა? სჯობს სისხ-  
ლისაგან დაიცალო და მოკვდე, ვიდრე ელოდო, სანამ  
დალპება.

მესამე ტყისმჭრელი. ჩუმად!

პირველი ტყისმჭრელი. რა იყო? გესმის  
რამე?

მესამე ტყისმჭრელი. მესმის კრიკინების ხმა,  
ბაყაყების და ღამის გუშაგების.

პირველი ტყისმჭრელი. ცხენის ფეხის ხმა?

მესამე ტყისმჭრელი. არა.

პირველი ტყისმჭრელი. ახლა ალბათ უაღერ-  
სებს.

მეორე ტყისმჭრელი. ერთმანეთისთვის შექმნა  
ღმერთმა.

მესამე ტყისმჭრელი. იპოვნე და დახო-  
ცავენ.

პირველი ტყისმჭრელი. მაგრამ მათ ალბათ  
უკვე შეუთრის ერთმანეთს სისხლი და ახლა დარჩა  
ორი დოქი ცარიელი, ორი დამშრალი წყარო.

მეორე ტყისმჭრელი. ცა ღრუბლებით დაი-  
ფარა. იქნებ მთვარე არც კი გამოჩნდეს.

მესამე ტყისმჭრელი. სასიძო უმთვაროდაც  
მოძებნის. მე ვნახე იგი. მოქროდა როგორც ავი ვარსკე-  
ლავი. სახეზე ფერფლის ფერი ჰქონდა. მასზე ეწერა  
მისი ოჯახის ხვედრი.

პირველი ტყისმჭრელი. ხვედრი — იყო მოკ-  
ლული ქუჩაში.

მეორე ტყისმჭრელი. სწორედ ასეა.

მესამე ტყისმჭრელი. გგონია, გაქცეულები  
ამ წრეს თავს დააღწევენ?

მეორე ტყისმჭრელი. ძნელია. გარშემო, ათი  
მილის მანძილზე დანებია და დამბაჩები.

მესამე ტყისმჭრელი. კარგი ცხენი ჰყავს.

მეორე ტყისმჭრელი. მაგრამ თან ქალი მიჰყავს.

პირველი ტყისმჭრელი. ახლოს ვართ უკვე.

მეორე ტყისმჭრელი. ეს ხე გაშლილ ტოტ-  
იანია, მაგრამ ჩვენ მას მალე მოვჭრით.

მესამე ტყისმჭრელი. აი, მთვარეც ამოდის.  
უნდა ვიჩქაროთ.

(მარცხნივ ნათდება).

პირველი ტყისმჭრელი.

მთვარე ამოდის, ამოდის მთვარე,  
ის ფართო ფოთლებს მოაფენს ირგვლივ.

მეორე ტყისმჭრელი.

მას სისხლიანი გვირგვინი მოაქვს.

პირველი ტყისმჭრელი

მთვარეო, მთვარე, მწვანე ტოტებში

მისცურავ ჩუმი და მარტოხელი.

მეორე ტყისმჭრელი

პატარძლის სახე — ვერცხლმა დაფერა.

მესამე ტყისმჭრელი.

მთვარეო, მთვარე, ნუ ხარ უგულო.

მწვანე ბუჩქნარში დატოვე ჩრდილი,

დახრილ ტოტებში ჩრდილი დატოვე.

პირველი ტყისმჭრელი.

დამალე მზერა ნაღველით სავსე

და ტრფობისათვის ნუ ხარ უგულო.

დახრილ ტოტებქვეშ ჩრდილი დატოვე.

გადიან. მარცხნიდან, საიდანაც გამოჩნდა შუქი, გამოდის მთვა-

რე ახალგაზრდა ფერმკრთალი ტყისმჭრელის სახით. სცენა ნათდება ნათელი ცისფერი სინათლით.

მ თ ვ ა რ ე. მე ვარ მდინარეთ ფერმკრთალი გედი, მე ვარ პირქუში ტაძრების თვალი, რიერაჟის მსგავსად ვეხები ფოთლებს და მე ვარ ყველგან—წამივლენ ვერსად. ეს ვისი ოხვრა ისმის რტოებში? ვისი ხმა აკრთობს უდაბურ ველთა? მთვარემ მთრთოლვარე ისროლა დანა, ის დაეკიდა ნისლიან წყვდიადს. ის მზვერაგია, ერთგული ჩემი და სისხლიანი სევდა სწყურია. ო, გვედრებით, შემიშვით! მცივა გლუვ კედლებზე და შიშველ მინებზე. მინდა რომ გავთბე. და თქვენი გული, დე ჩემს სისხლიან სურვილს მინებდეს! ო, როგორ მცივა! და ჩემი ფერფლი ესადარება მთვლემარე მეტალს. ელვარე გვირგვინს ეძებს და უვლის მთათა მწვერვალებს, მძინარე ქუჩებს. ჩემი თეთრი და მთრთოლვარე სხივი შიშველი თოვლის შეხებას ბედავს, ტბათა უსაზღვროდ წარმტაცი სარკე! მიუწვდომია, ცივია მეტად! მაგრამ ამ ღამით, სისხლიან შხამით, აენტებიან ჩემი ლაწვები. შეასხურებენ სისხლიან მხეფებს ლერწმები მთების მოსასხამს ფართეს. არ უნდა დარჩეს საფარი მათთვის, არც ერთი ჩრდილი არ უნდა დარჩეს!

ო, როგორ მინდა შევიტრა გულში!  
ო, როგორ მინდა, რომ მასში გავთბე!  
მომეცით! გულმა დატოვოს მკერდი  
და დაეღვაროს მწვერვალთა კალთებს!  
მომეცით ნება, შევიტრა გულში,  
შევიტრა გულში!

(რტოებს მიმართავს)

არ მინდა ჩრდილი!

დე, ახლავ, ჩემი ყოველი სხივი  
ეკვეთოს რტოთა სიბნელეს ვერაგს!  
გაკვეთოს შავი ქუფრი ხმაურით  
მთვარის ცივმა და მთრთოლვარე ბგერამ.  
დაე, ამ ღამით, სისხლიან შხამით  
აენტონ ისევ ლაწვები ჩემი!  
შეასხურებენ სისხლიან მხეფებს  
ლერწმები მთების მოსასხამს, ფართეს.  
ვინ იმალება მანდ? მანდ ვინ არის?  
ვერსად წამიხვალთ! გამოდით! თქვენთვის  
არც ერთი ჩრდილი არ მინდა დარჩეს!  
შევბორკავ ცხენს და შევიპყრობ თრთოლვით,  
და აღმასების სიციხით ავანთებ.

მთვარე გაქრა ხეების იქით და სცენა ისევ სიბნელემ მოიცვა. შემოდის მათხოვარი ქალი, მსუბუქ მუქ მწვანე მოსასხამში გახვეული. ის ფეხშიშველად. სახე თითქმის არ ჩანს ქსოვილის ნაოჭებს შორის.

მ ა თ ხ ო ვ ა რ ი.

ამოდის მთვარე და ისინიც არიან ახლოს  
უახლოვდება აქ გზა დასასრულს. მდინარის ჩქამი,  
ჭალები, საღვსე ყრუ გუგუნით, წაშლიან უცებ  
სიკვდილისპირა მწუხარე ძახილს. მე დავიღალე  
ამ ხეტიალში. უკვე დროა გაიხსნას სკივრი,  
გორგალის თეთრი ბოლოები ელოდებიან

ციე იატაკზე მათ სხეულებს. მე ვხედავ, ვხედავ,  
ვხედავ კისერზე გადაიხსნა კრილობა ნაზი.  
ო, ფრინველები სდუმდენ უნდა! აკროვებს ქარი  
მწუხარე ოხვრას და მათთან ერთად მიექანება  
პირქუშად მზირალ და ქვადქცეულ ქალათა თავზე.  
უნდა ეს ოხვრა ქარმა დამალოს ბალახებს შორის.  
(მოუთმენლად)

სად არის მთვარე? მაგრამ აბა, სად არის, მთვარე?  
ისევ ჩნდება მთვარე. მას ისევ მოყვება ნათელი ცისფერი  
შუქი.

მთვარე. ახლოს არიან უკვე. ისინი გზაზე მოდიან,  
ის მდინარის ნაპირს მოყვება. წავალ ქვებს გაფანათებ.  
შენ რა გინდა?

მათხოვარი. არაფერი.

მთვარე. ჰაერი სულ უფრო მყარი და მკვეთრი  
ხდება, ორპირად ალესილი დანის მსგავსად.

მათხოვარი. გაანათე პერანგი, ღილები გამოჰყა-  
ვი და დანები თავის გზას თვითონ მოსძებნიან.

მთვარე. დე, მათი კვდომა იყოს ხანგრძლივი,  
რომ სისხლმა თავის ნაზი გალობით,  
ჩემს ფერმკრთალ თითებს მიუალერსოს.  
შეხედე—ქვემოთ, იმ ველებს შორის  
მე რომ ნაცარი მიმოვაყარე,  
სურვილი იშვა, რომ დაიღვაროს  
მძლავრი ნაკადი, მხურვალე სისხლის.

მათხოვარი. მდინარის იქით ნუ გადაუშვებთ.  
ჩუმად!

მთვარე. მოდიან! (გადის).

სცენაზე სიბნელეა, შემოდინ სასიძო და პირველი ვაჟი. მათ-  
ხოვარი ჯდება და მოსახზამს იფარებს.

სასიძო. აქეთ!

პირველი ვაჟი. ვეღარ მიაგნებ.

სასიძო. (მტკიცედ) არა, მიაგნებ!  
პირველი ვაჟი. როგორც ეტყობა, სხვა ბილიკ-  
ზე გადაუხვიეს.

სასიძო. არა. ახლახან ცხენის ფეხის ხმა გავი-  
გონე.

პირველი ვაჟი. იქნებ ის სხვა ცხენი იყო?

სასიძო. (მღელვარედ) მომისმინე! მთელ ქვეყანაზე  
არსებობს მხოლოდ ერთი ცხენი და ეს ცხენი მისია!  
გაიგონე? რახან ჩემთან ერთად მოდიხარ, ჩუმად იარე!

პირველი ვაჟი. მე მინდოდა...

სასიძო. ჩუმად! მე ვიცი, რომ მათ აქ ვიპოვი.  
ხედავ ამ ხელს? ეს განა ჩემი ხელია? ეს არის ხელი ჩე-  
მი ძმის, მამის და ყველა ჩემი ნათესავის, რომელიც მოკ-  
ლეს. და ამ ხელში ახლა ბუდობს ისეთი ძალა, რომ  
შემიძლია ხე ამოვაგდო ფესვიანად, თუ მოვიწოდებ.  
წამოდი ჩქარა, თორემ ჩემი მახლობლების კბილებმა აქ  
ისე მომიჭირეს, რომ ვეღარ ვსუნთქავ!

მათხოვარი. (საბრალოდ) ვაი!

პირველი ვაჟი. ვესმის?

სასიძო. იქიდან მოუარე.

პირველი ვაჟი. ნადირობას ჰგავს.

სასიძო. დიახ, საზარელ, ჯერ არნახულ ნადი-  
რობას.

ვაჟი გადის. სასიძო სწრაფად მიდის მარცხნივ და წააწყდება  
მათხოვარს. სიკვდილს.

მათხოვარი. ვაი!

სასიძო. რა იყო?

მათხოვარი. მცირე!

სასიძო. საით მიდიხარ?

მათხოვარი. (იგივე საბრალო მოწუწუნე ხმით) იქით...  
შორს.

სასიძო. საიდან მოხვედი?

მათხოვარი. იქიდან... შორიდან.

სასიძო. ხომ არ გინახავს ცხენზე მსხდარი კაცი და ქალი?

მათხოვარი. (თითქოს გამოერკვა) მოითმინე... (უფურხებს) ლამაზი ყმაწვილი ხარ. (დგება) მაგრამ მძინარე ალბათ უფრო კარგი იქნები.

სასიძო. სტკვი, ნახე თუ არა?

მათხოვარი. მოითმინე... როგორი ზურგი გაქვს ფართო. რა კარგი იქნებოდა, რომ დაწვებოდე მასზე და აღარ ეყრდნობოდე ასეთ პატარა ტერფებს.

სასიძო. (არყვებს მას) მე გეკითხები, ნახე თუ არა? გაიარეს აქ თუ არა?

მათხოვარი. (მტკიცედ) არა, არ გაუფლიათ: ბორცვიდან ქვევით ეშვებიან. განა არ გესმის?

სასიძო. არა.

მათხოვარი. გზა არ იცი?

სასიძო. მაინც წავალ.

მათხოვარი. გამოგყვები. მე ვიცნობ ამ ადგილებს.

სასიძო. (მოუთმენლად) მაშინ წავიდეთ. აბა, საით?

მათხოვარი. (მტკიცედ) აქეთ!

სწრაფად გადიან. შორიდან, ტყის ხმაურის შიგვსად უღერენ ვიოლინოები. ტყისმჭრელები მხარზე ცულებით ბრუნდებიან უკან. ისინი ნელი ნაბიჯით გაივლიან ხეებს შორის.

პირველი ტყისმჭრელი.

ეს შენ მოდიხარ, სიკვდილო, მოხვალ და ფართო ფოთლებს მოაფენ ირგვლივ.

მეორე ტყისმჭრელი.

ო, შეაჩერე სისხლის მდინარე...

პირველი ტყისმჭრელი.

სიკვდილო ჩუმო და მარტოხელო, მოხვალ და გამხმარს მოიტან ფოთლებს.

მესამე ტყისმჭრელი.

მაგ ყვაფილებით ნუ ამკობ ქორწილს.

მეორე ტყისმჭრელი.

სიკვდილო ჩუმო და სევდიანო, მწვანე საფარი აჩუქე ტრფობას.

მესამე ტყისმჭრელი.

სიკვდილო, გულქვავ და სევდიანო. მწვანე საფარი აჩუქე ტრფობას.

საუბრით განაგრძობენ გზას. შემოდიან ლეონარდო და სარძლო.

ლეონარდო. გაჩუმდი!

სარძლო. აქედან მარტო გავყვები ბილიკს.

წადი! დაბრუნდი! შე ასე მინდა!

ლეონარდო. გაჩუმდი, გეუბნები!

სარძლო. კბილებით,

ხელით, ან რითაც შესძლო, ჩამოაწყვიტე ეს მძიმე ჯაჭვი ჩემს მაღალ კისერს. დატოვე მარტო. დამტოვე მარტო მე ჩემს კუთხეში. ჩემი სახლია იქ, ჩემი კერა. და თუ ვერ მომკლავ გველის წიწილს, შენი თოფის ლულა დამითმე. რა ნაღველი მაქვს, და რა ცეცხლი ბოზოქრობს თავში.

თითქოს ათასი

შუშის ნატეხი მისერავს ენას.

ლეონარდო. უკანდახევა გვიანლა არის. გვიანლოვდება უკვე მღევიარი...

მე უნდა ახლავ შორს წავიყვანო.

სარძლო. ძალით წამიყვან.

ლეონარდო. როგორ თუ ძალით?

ტკვი, ვინ დაეშვა კიბით პირველი?

ს ა რ ძ ლ ო. მე!

ლ ე ო ნ ა რ დ ო. ვინ გაუკეთა ჩემს ცხენს აღვირი?

ს ა რ ძ ლ ო. მე, მართალია, მე!

ლ ე ო ნ ა რ დ ო. ვისმა ზელმა,

დამიმაგრა ღებები ფეხზე?

ს ა რ ძ ლ ო. ჩემმა! იცოდე, მოვლენ ისინი

და სისხლის ძარღვებს დაგიკაფავენ.

შეწყვეტენ შმაგი ჩანჩქერის ხმაურს.

მიყვარხარ! გესმის? მიყვარხარ! წადი!

მე რომ შემეძლოს, მოგკლავდი თვითონ

და შენს მშვენიერ სხეულს იების

უნაზეს ქსოვილს შემოვახვევდი.

წადი!

ო, ღმერთო, რა ნაღველი მაქვს.

და რა ხანძარი ბობოქრობს თავში!

ლ ე ო ნ ა რ დ ო. ო, ეს რა შუშა მისერავს ენას!

მე დავიწყება მინდოდა შენი

ამოვეფარე ქვიტკირის კედელს.

ქვიშით ვივსებდი ამ ბედკრულ თვალებს

შენს დანახვაზე. მიშველა განა?

ცხენზე ვჯდებოდი, წყეული ცხენი

შენი კარისკენ მომაქროლებდა.

ვერცხლის ნემსებით დავიწვი ტანი.

მე ჩემი ტანი ხავსი მეგონა.

არა მაქვს ბრალი! არა მაქვს ბრალი!

დამნაშავეა მხოლოდ ეს მიწა,

დამნაშავეა მხოლოდ სურნელი

შენი მკერდის და მძიმე ნაწნავის.

ს ა რ ძ ლ ო. თავბრუ დამეხვა. არ მინდა, არა

შენთან ვიყოფდე საწოლს და საკვებს,

მაგრამ არ არის არც ერთი წამი,

შენსკენ რომ მწარედ არ მოვილტვოდე.

მეძახი, მიხმობ და მეც მოვდივარ.

მირჩევ დავბრუნდე, მოვქრივარ ქარში

და შენს ნატერფალს ქარივით მოვდე!

მე იქ დავტოვე შუა ქორწილში,

შუა ფერხულში გოროზი ვაფი.

იქ არის მისი ყველა მოგვარე

და მათი მწარე შურისძიება

თავს დაგატყდება! დამტოვე! წადი!

ლ ე ო ნ ა რ დ ო.

დილის ფრთოსნებმა გაშალეს ფრთები

ქალარა ღამე კლდეებზე კვდება.

წავიდეთ; სადმე ვიპოვით კუთხეს,

სად შევაფარებთ სიყვარულს ჩვენსას.

დაე, მოვიდნენ, არ მეშინია

მათი და გესლის ჩვენ რომ გვესვრიან!

ს ა რ ძ ლ ო. მე დავიძინებ, კარგო, შენს ფერხით

მე ვუდარაჯებ შენს ყველა სიზმარს,

სასოწარკვეთით

და ტანთახდილი გავყურებ მინდორს

შენი ძალღივით ჩუმი, ერთგული.

გიყურებ როცა, მშვენება შენი

თავდავიწყებულს ალად მედება.

ლ ე ო ნ ა რ დ ო. სინათლე იგივე სინათლეს ბადებს.

ცეცხლი იგივეს დაბადებს ხანძარს

და ნაპერწკალი მცირეა თუმცა,

ააგიზგიზებს ბუმბერაზ ზვინებს.

წავიდეთ.

ს ა რ ძ ლ ო. საით მიგყავარ?

ლ ე ო ნ ა რ დ ო.

იქით,

სადაც ისინი ვერ მოგვწვდებიან.  
დე, შემოგვერტყან რკალივით ირგვლივ,  
მე იქ დავტკბები შენი მშვენივრით.

ს ა რ ძ ლ ო. (დამცინავად)

თუნდ ბაზრობაზე მატარე თრევით,  
პატიოსანმა ცოლებმა, დაე, ამიგდონ მასხრად.  
დღეს სისხლიანი ქორწილის ზეწარს,  
მე, როგორც დროშას ავზიდავ მაღლა!

ლ ე ო ნ ა რ დ ო. მე რომ ვფიქრობდე, ვით სხვები, ისე  
ვაგზორდებოდი მაშინვე, მაგრამ  
მე ჩემი თავის არ ვარ უფალი.  
შენც, შენც, ასევე. გაბედე, მოდი!  
რატომ შეჩერდი? შეგვიპყრო მთვარემ  
და ჩვენი ტანი შებორკა ვნებით?

ეს სცენა ზეაწეულ ტონით მიმდინარეობს.

ს ა რ ძ ლ ო. ფეხის ხმა ისმის!

ლ ე ო ნ ა რ დ ო. მოდიან უკვე!

ს ა რ ძ ლ ო. მშვიდობით! წადი! აქ მოვკვდე უნდა!

მე შიშველ ფეხებს ჩავუშვებ წყალში,  
ბასრმა ეკლებმა თავი დასერონ.  
გამოიგლოგონ ფოთლებმა ქალი,  
ქალწულის ბედი გამოიტირონ.

ლ ე ო ნ ა რ დ ო. გაჩუმდი! მესმის, მოდიან უკვე.

ს ა რ ძ ლ ო. წადი!

ლ ე ო ნ ა რ დ ო. გაჩუმდი! არიან ახლოს!

შენ წინ იარე! იარე! გესმის?

ს ა რ ძ ლ ო ყოყმანობს.

ს ა რ ძ ლ ო. არა, ერთად ვიაროთ!

ლ ე ო ნ ა რ დ ო. (მოეხვევა კარგი!

როგორც შენ გინდა.

შენგან მოწყვეტა ჩემს სიკვდილს ნიშნავს.

ს ა რ ძ ლ ო. შენგან მომწყვეტენ, უმალ, მოვკვდები.

გადიან ერთმანეთს მიკრულები. ძალთან ნელა გამოცურდა  
მთვარე სცენა ივსება ნათელი ცისფერი შუქით. ვიოლინოთა დუ-  
ეტო. უცებ, ერთიმეორის მიყოლებით გაისმის ორი გულისწამლე-  
ბი კვილი და მუსიკა უცებ წყდება. მეორე კვილზე შემოდის მა-  
თხოვარი, ჩერდება შუა სცენაზე, ბრუნდება ზურგით მაყურებლი-  
საკენ და შლის მოსასხამს. ახლა იგი წააგავს ფართოფრთიან  
ფრინველს. შეჩერდა მთვარეც. სრულ სიჩუმეში, მდორედ ეშვება  
ფარდა.

### სურათი უკანასკნელი

თეთრი ოთახი. თაღები. სქელი კედლები. მარჯვნივ და მარ-  
ცხნივ თეთრი გრძელი სკამები. სიღრმეში მოჩანს თეთრი თალი  
და ასეთივე თეთრი კედელი. პრილა თეთრი იატაკი. ამ ერთი  
შეხედვით უბრალო ოთახში იგრძნობა მონუმენტური საეკლესიო  
არქიტექტურის სული. არ არის არც ნაცრისფერი ტონი, არც  
ჩრდილი, არაფერი, რაც შექმნიდა პერსპექტივას. შუქ ღურჯ კა-  
ბაში ჩაცმული ორი ქალიშვილი შლის წითელ გორგალს.

პ ი რ ვ ე ლ ი ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ი. გორგალო, გორგალო

რა გინდა, სთქვი!  
ბრჭყვიალებს შუშად  
გვირილა კაბაზე.  
ოთახზე დაიბადე,  
მოკვდები რვაზე.  
გორგალო, გორგალო,  
დაბორკე რად  
წვივები ჩქარი?  
არა აქვთ გზა  
დაფნების მწარე  
ფოთლების გარეთ.

გ ო გ ო ნ ა. (მღერით) მითხარი, ქორწილში იყავი?

პ ი რ ვ ე ლ ი ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ი. მე? არა.

გ ო გ ო ნ ა. მეც არა.

განა რა უნდა მომხდარიყო  
ვაზების მწვანე ყლორტების იქით?  
განა რა უნდა მომხდარიყო  
ზეთისხილების მწვანე რტოებში?  
განა რა უნდა მომხდარიყო,  
ალარ დაბრუნდა არავინ უკან?  
შენ? არ იყავი ქორწილში? არა?

მეორე ქალიშვილი. ვითხრეს, რომ არა.  
გოგონა. (შორდება მას) მეც არ ვყოფილვარ მათ  
ქორწილში.

მეორე გოგონა. გორგალო, გორგალო,  
იმღერე რამე.

პირველი გოგონა. აქ არის ჭრილობა,  
ჭრილობა სანთლის,  
ტვივებზე სევდა,  
მთვლემარე დილა  
და უძილო ღამე.

გოგონა. (კარებში შედგა) დაიბნა ძაფი  
ლორლიან ქვევებში,  
მაგრამ მას გზას  
უჩვენებენ მთები.  
და აი, გარბის,  
გაიქცა მარდად.  
და აი, უკვე  
მიიღბინა მათთან,  
აი, მისცა დანა და  
წაართვა პური.

გადის.

მეორე გოგონა. გორგალო, გორგალო,  
რა გინდა, სთქვი!

პირველი გოგონა. უტყვია სატრფო

და სასიძო  
სიწითლით სავესე.  
მკვდართა მდინარის  
სანაპიროზე  
ორივე ვნახე.

შესწყვეტენ გორგალის დაშლას და დასცქერიან მას.

გოგონა. (ისევ გამოჩნდა კარებში)

გაიქცა, გარბის,  
გაიქცა სწრაფად  
და უკვე ჩვენამდე  
მოვიდა ძაფი.  
და მესმის, ახლოა  
ჩქამი ნაბიჯების.  
უხმოდ გაყინულა  
შლამით დაფარული  
ტანი დაზაფრული.  
მოყვასნი. მტრები.  
მიდის.

შემოდინა ლეონარდოს ცოლი და სიდედრი. მწუხარედ არიან

პირველი ქალიშვილი. ახლოს არიან?  
სიდედრი. (მკვახედ) ჩვენ ჯერ არ ვიცით.  
მეორე ქალიშვილი. გვიამბობთ რამეს?  
პირველი ქალიშვილი. ვვითხარი.  
სიდედრი. (მშრალად) არა.  
ცოლი. იქ დავბრუნდები, გავიგებ რამეს.  
სიდედრი. (მტკიცედ).

დაბრუნდი სახლში. იყავი მტკიცედ,  
ამიერიდან სიმარტოვეში  
უნდა იცხოვრო, შენ ამ სახლში,  
უნდა დაბერდე, უნდა იტირო.  
ოღონდ გახსოვდეს, ამიერიდან

ფედერიკო გარსია ლორკა



მისი კარი არ გაიღება.

ცოცხალია იგი თუ მკვდარი, ეს ფანჯრები  
უნდა დაგკეტოთ. წვიმამ და ღამემ  
დაე დაღვარონ თავისი ცრემლი  
ბალახებს შორის.

ცოლი. მაგრამ რა მოხდა?

სიდედრი. რად გინდა ცოდნა? სახე შენი  
უნდა სუდრით დაიფაროს.

შენი ბავშვები შენთან არიან.

არც ერთი სიტყვა. წადი და

ფერფლის შეჭკარი ჯვარი

იმის ბალიშზე.

მიდიან.

მათხოვარი. (კარებში)

შვილებო,

პური მომეცით!

გოგონა. წადი!

ქალიშვილები წრეს კრავენ.

მათხოვარი. რატომ?

გოგონა. ოხრავ ძალიან.

მეორე ქალიშვილი. გოგო, ასე არ შეიძლება

მათხოვარი. უკეთესი ხომ არ იქნება,

რომ მოვითხოვო ფვალები შენი?

ჩიტების გუნდი უკან მომყვება,

ჩიტი არ გინდა?

გოგონა. გაქცევა მინდა.

შენგან შორს ძლიერ.

მეორე ქალიშვილი. (მათხოვარს)

არ გაუჯავრდე.

პირველი ქალიშვილი. შენ ეს გვითხარი,

მდინარეს ხომ არ გამოყვება?

მათხოვარი. გამოყვევი.

პირველი ქალიშვილი. (გაუბედავად) შეიძლება,  
რომ შეგეკითხო?

მათხოვარი. ვნახე ისინი. ძალიან მალე

აქ იქნება ორი მდინარე.

მხოლოდ ერთმა საათმა განვლო

და გაიყინენ ლოდებს შორის.

უძრავად სძინავთ

ცხენის ფერხთით.

ორივე მკვდარია

და მშვენიერი ანთია ღამე.

(აღტაცებით) ორივე მკვდარია!

ღიახ, მკვდარია!

პირველი ქალიშვილი. ჩუმად!

ჩუმად, ბებრო!

მათხოვარი. და აი, ვხედავ,

მათი თვალები ყვავილებს ჰგვანან,

მაგრამ ყვავილები მკვდარნი არიან,

მათი კბილები თეთრი თოვლის ორი პეშვია

გაქვავებული. ორივე დაეცა

და პატარძალი ბრუნდება, წითლად

შეღებილია მისი თმები და მისი კაბა.

ეს ასე მოხდა, ეს ასეც უნდა მომხდარიყო

და ჭუჭყიანი მდინარის შლამი

მზესავით სუფთა, ოქროვან ყვავილს

სამუდამოდ გადაეფარა.

მიდის.

ქალიშვილები თავს ხრიან და რიტმული მოძრაობით გადიან.

პირველი ქალიშვილი. მზესავით სუფთა

ოქროვან ყვავილს...

მეორე ქალიშვილი. გადაეფარა

ჭუჭყიანი მდინარის შლამი.  
გოგონა. მოდიან,  
ოქროს ყვავილებზე მოასვენებენ  
მკვდარ სასიძოებს, აბა, შეხედეთ,  
შავგვრემანია ერთი მათგანი,  
მეორეც მისებრ შავგვრემანია.  
თავს დასტრიალებს მათ ბულბული  
და მწარედ გალობს.

გადის.

ჩამდენიმე ხანს სცენა ცარიელია. შემდეგ შემოდიან დედა და  
მტირალი მეზობელი ქალი.

დედა. გაჩუმდი!

მეზობელი. არ შემიძლია.

დედა. გაჩუმდი, გეუბნები! (მიდის კართან) აქ ხომ  
არაგინ არის? (აელები მიაქვს შუბლთან) ჩემი ვაჟი მიბა-  
სუხებდა, მაგრამ ახლა ჩემი ვაჟი ტოტილაა — ფოთ-  
ლებგამხმარი, ოდნავ მფეთქავი ხმაა, მწვერვალებიდან  
მონაქროლი. (მეზობელს, გააფთოებით) გაჩუმდები თუ არა?  
მე არ მინდა, რომ ამ სახლში ტიროდეს ვინმე. თქვე-  
ნი ცრემლები თვალთაგან მოედინებიან, ჩემი კი, როცა-  
მარტო დავრჩები, ფეხის გულებიდან გამშრალ თვა-  
ლებს მიასკდება, სისხლზე მხურვალე.

მეზობელი. ჩემთან წამოდი, აქ შენი დარჩენა  
არ შეიძლება.

დედა. არა, აქ უნდა დავრჩე! აქ! მშვიდად ვიქ-  
ნები. აღარავინ დამრჩა. ღამით ვიძინებ, ვიძინებ, არ  
შეშინდებარც დამბაჩის და არც დანის. სხვა დე-  
დები ფანჯარაში გადმოდკვებიან, წვიმა დასერაეს მათ  
სახეს, ისინი მაინც უყურადებენ თავიანთ ვაჟებს. მე  
კი არა. ჩემი ცივი ძილი სპილოსძვლისფერ მტრე-  
დად იქცევა და სამარეზე მიმოაბნევს თრთვილის ზამ-

ბახებს. მაგრამ არა, სამარე კი არა, თვით მიწამ შე-  
იფარა ისინი და ნაზად არწევს რბილ სარეცელზე.

შემოდის შავებში ჩაცმული ქალი, გადის მარჯვნივ და მუხლს  
იდრეკს.

დედა. (მეზობელს) სახიდან ხელები მოიშორე. წინ  
საშინელი ღლებია. არავის ნახვა არ მინდა. მიწა და  
მე. ჩემი გოდება და მე. და ეს ოთხი კედელი. ოჰ! ოჰ!  
(ჯდება ღონემიხდილი).

მეზობელი. თავი შეიციოდე.

დედა. (თვებს იშორებს სახიდან) მშვიდად უნდა ვიყო.  
მოვლენ მეზობლები და მე არ მინდა, რომ მიყურონ  
დაბეჩავებულს. ამდენად დაბეჩავებულს. მე ხომ ჩემს  
შვილს ვერც კი ვაკოცებ.

შემოდის სარძლო. შავ მოსასხამშია. უგვირგვინოდ.

მეზობელი. (გააფთოებული, სარძლოს მიპართავს) საით?  
სარძლო. აქ მრვედი.

დედა. (მეზობელს) ვინ არის?

მეზობელი. ვერ იცანი?

დედა. სწორედ იმიტომ გეკითხები. არ უნდა ვიც-  
ნო, თორემ ყელში ჩავაჭდობ კბილებს. გველი! (მრისხა-  
ნედ მიეპართება სარძლოსაკენ, მაგრამ თავს იკავებს და მეზო-  
ბელს მიპართავს) ხედავ, არა? ეგ აქ არის და ეგ ტირის.  
მე კი მშვიდად ვარ და არ ვთხრი მას თვალებს. არ  
მესმის რა მეპართება. იქნებ მე არ მიყვარდა ჩემი შვი-  
ლი? მაგრამ მისი ღირსება? რად იქცა ჩემი შვილის  
ღირსება? (ურტყამს სარძლოს, ის ძირს ეცემა).

მეზობელი. ღვთის გულისათვის! (ცდილობს მოა-  
შოროს).

სარძლო. თავი გაანებე. იმიტომაც მოვედი, რომ  
მაგან მომკლას და მათთან ერთად დამმარხოვნ. (დედას)  
მაგრამ ხელებით არ უნდა ცემა, რკინის კაუჭით, ნამ-  
გლით უნდა, სანამ ძვლები არ დაიმტვრევა. (მეზო-

ბელს) თავი გაანებებ. მინდა მაგან იცოდეს, რომ მე სუფთა ვარ, რომ მე უმალ გავგიჟდები და საფლავში ჩავალ, ვიდრე ნებას მივცემ მამაკაცს დატყბეს ჩემი მკერდის სითეთრით.

დედა. ჩუმად, ჩუმად, რა მესაქმება!

სარძლო. მე გავიქეცი სხვასთან ერთად, გავიქეცი. (წუხილით) შენც გაიქეცი. ვიწვოდი ცეცხლში, სული ჩემი წყლულებითა და ჭრილობებით არის სავსე, შენი შვილი კი სუფთა ნაკადი იყო ჩემთვის. მე ვილოდი მისგან შვილებს, სიმშვიდეს, მკურნავ ძალას. მაგრამ მეორე იყო ფოთლებით დაფარული რუხი მდინარე, ის მაკრთობდა ლერწმების შრიალით და ტალღების ყრუ გრგვინებით. მე მივენდე შენს ვაჟს, ის ხომ ცივი ნაკადი იყო, მეორემ კა ფეხდაფეხ და მადევნა ფრინველთა გუნდი, ისინი ფეხებს მიბორკავდნენ და სიცივით ავსებდნენ ჩემს ჭრილობებს, სიცივით ბოჭავდნენ საბრალო გამშრალ ქალს, გოგონას, რომელსაც ცეცხლმა მიუაღერსა. მე არ მინდოდა. გესმის თუ არა? მე არ მინდოდა! მე არ მინდოდა! მე მივიღტვოდი შენი ვაჟისკენ, მე მას არ ვატყუებდი, მაგრამ მეორის ხელმა ჩამითრია, როგორც ტალღამ და იგი ჩამითრევდა ადრე თუ გვიან, თუნდა დავბერებულყავი და შენი ვაჟის ყველა შვილები თმებში ჩამჭიდებოდნენ.

შემოდის მეორე მეზობელი.

დედა. არც ეგ არის დამნაშავე, არც მე. (მწარე ირონიით) ვინ არის მაშინ დამნაშავე? საცოდავია, სუსტი და უსირცხვილო ის ქალი, რომელიც ქორწინების გვირგვინს თელავს და ეჭიდება სხვა ქალის მიერ გამთბარი ლოგინის ნაპირს.

სარძლო. გაჩუმდი! გაჩუმდი! შური იძიე; მე ხომ

აქა ვარ. ნახე, როგორი ნაზი ყელი მაქვს: უფრო ადვილი იქნება შენთვის, ვიდრე ბალში ყვავილის მოჭრა. მაგრამ არა. მე ყრმასავით უმანკო ვარ და საკმაოდ ძლიერი, რომ დაგიმტკიცო ეს. აანთე ცეცხლი. მივიტანოთ მასთან ხელები: შენ შენი ვაჟის გამო, მე ჩემი სხეულის გამო. პირველი შენ აიღებ ხელს.

შემოდის მესამე მეზობელი.

დედა. რა არის ჩემთვის შენი სიწმინდე? რა არის ჩემთვის შენი სიკვდილი? რა არის ჩემთვის ეს ყოველივე? კურთხეულ არს ხორბალი, იგი ჩემს ვაჟებს ფარავს, კურთხეულ არს წვიმა, იგი განბანს მიცვალებულთ. კურთხეულ არს ღმერთი, იგი მოგვევრის ყველას სიმშვიდეს.

შემოდის მეოთხე მეზობელი.

რძალი. ნება მომეცი, შენთან ერთად ვიტირო.

დედა. იტირე, ოღონდ კართან.

შემოდის გოგონა. სარძლო კარებთან დგება. დედა შუასვენაზე.

ცოლი. (შემოდის და მიდის მარცხნივ)

იყო მხედარი მზისფერთვალემა, ახლა კი თოვლის გროვია მხოლოდ. იყო ამაყი, ალერსს ჩვეული, თავდავიწყებით დაჰქროდა მთებში. ახლა კი თრთვილი და ხავსი ღამის ადგას გვირგვინად გაყინულ შუბლზე.

დედა. ვით მზესუმზირის ნაზი ყვავილი დაფიქრებული და თავდახრილი ის მიიღტვოდა დედამიწისკენ... სარკე ხარ ჩუმი და გამჭვირვალე. დე, დაასვენონ შენს მკერდზე ჯვარი.

გადააფარონ ფარჩის სუღარა  
შენს ძლიერ სხეულს. და იქვითინოს  
შენს მშვიდ ხელებში წყალმა მჩქეფარემ.  
ცოლი. ჭაბუკებს წელში მძიმედ მოხრილებს  
მოაქვთ ორივე. ეტკინათ მხრები.

სარძლო. სიყვარულით და სიცოცხლით სავსე  
ჭაბუკებს ჩვენთან მოაქვთ სიკვდილი.

დედა. თქვენ, მეზობლებო...

გოგონა. (კარებში) მოდიან აქეთ.

დედა. დე, სულ ერთია.... ჯვარი!

სარძლო. დე, ჯვარმა

დღეს დაიფაროს ცოცხლებიც, ზვედრებიც.

დედა. მეზობლებო! აი, ამ დანით,  
იმ დღეს, რა დღესაც ისურვა ბედმა,  
პირველ საათს და ორ საათს შუა,  
ორი ვაჟკაცი შეაკვდა ერთურთს  
სიყვარულისთვის. ეს კი, ეს დანა,  
ისე მცირეა, რომ შეუმჩნევლად  
ძირს მივარდება კვლავ ხელებიდან.  
და ამავე დროს მას შეუძლია,  
რომ შესრიალდეს სხეულში მალვით.  
ის მხოლოდ მაშინ აჩერებს სრბოლას,  
როდესაც აღწევს მთრთოლვარე გორგალს  
ჩვენი გოდების უხილავ ბუდეს.

სარძლო. აი, ამ დანით, პატარა დანით,  
რომ მივარდება ძირს ხელებიდან,  
თევზს რომ წააგავს, აი, ამ დანით,  
იმ დღეს რა დღესაც ისურვა ბედმა,  
პირველ საათს და ორ საათს შორის,

ორი ვაჟკაცი შეაკვდა ერთურთს,  
ორი ფიცხი და ამაყი ვაჟი.  
წვანან მდუმარედ და მათ ბაგეებს  
დაუფლებია ყვითლად სიკვდილი.  
მუხლებზე დაცემული მეზობლები ტირიან.

ფ ა რ დ ა .